

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 39

ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება

1. [გაუქმებულია]

მოქმედების სფერო

2. წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს ყველა საწარმომ ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით, რომელიც განეკუთვნება ფასს 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“ - მოქმედების სფეროს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:
- ა) ფასს 9 საწარმოს მოცემული სტანდარტის მოთხოვნების გამოყენების უფლებას აძლევს ჰეჯირების აღრიცხვისთვის; და
 - ბ) ფინანსური ინსტრუმენტი ისეთი ჰეჯირების ურთიერთობის ნაწილია, რომელიც წინამდებარე სტანდარტით დადგენილ ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

2ა-

7. [გაუქმებულია]

განმარტებები

8. ფასს 13-ში, ფასს 9-სა და ბასს 32-ში მოცემული ტერმინების განმარტებები ამ სტანდარტში გამოიყენება იმავე მნიშვნელობით, რაც მინიჭებული აქვს ფასს 13-ის „ა“ დანართში, ფასს 9-ის „ა“ დანართში ან ბასს 32-ის მე-11 პუნქტში. ფასს 13-ში, ფასს 9-სა და ბასს 32-ში მოცემულია შემდეგი ტერმინების განმარტებები:

- ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება;
- აღიარების შეწყვეტა;
- წარმოებული;
- ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი;
- ეფექტური საპროცენტო განაკვეთი;
- წილობრივი ინსტრუმენტი;
- სამართლიანი ღირებულება
- ფინანსური აქტივი;
- ფინანსური ინსტრუმენტი;
- ფინანსური ვალდებულება

და სახელმძღვანელო მითითებები ამ ტერმინების გამოყენების შესახებ.

9. ქვემოთ ჩამოთვლილი ტერმინები ამ სტანდარტში გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით:

ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებული განმარტებები

მყარი დაპირება (ვალდებულება) არის მზოჭავი ხელშეკრულება რესურსების შეთანხმებული რაოდენობის, შეთანხმებული ფასით, შეთანხმებულ ვადებში გაცვლის შესახებ.

პროგნოზირებული გარიგება არის არასავალდებულო, მაგრამ მოსალოდნელი მომავალი გარიგება.

ჰეჯირების ინსტრუმენტი არის საწარმოს მიერ განსაზღვრული წარმოებული ინსტრუმენტი, ან (უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების რისკის ჰეჯირებისთვის მხოლოდ) განსაზღვრული არაწარმოებული ფინანსური აქტივი ან არაწარმოებული ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება ან ფულადი ნაკადები, სავარაუდოდ, გადაფარავს ჰეჯირებული მუხლის სამართლიანი ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილებებს (ჰეჯირების ინსტრუმენტის განმარტების შესახებ დეტალური მითითებებისათვის იხ. პუნქტები 72-77-ე და „ა“ დანართის პუნქტები მგ94-მგ97).

ჰეჯირებული მუხლი არის აქტივი, ვალდებულება, მყარი დაპირება (ვალდებულება), მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული გარიგება, ან ნეტო ინვესტიციები უცხოურ ქვედანაყოფში, რომლებიც (ა) საწარმოს უქმნის სამართლიანი ღირებულების ცვლილების ან სამომავლო ფულადი ნაკადების რისკს და (ბ) საწარმოს მიერ კლასიფიცირდება, როგორც ჰეჯირებული მუხლი (78-84-ე პუნქტებსა და „ა“ დანართის მგ98-მგ101 პუნქტებში დეტალურად არის დამუშავებული ჰეჯირებული მუხლების განმარტება).

ჰეჯირების ეფექტურობა არის ჰეჯირებული მუხლის სამართლიანი ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილების ხარისხი, რომელიც მიეკუთვნება ჰეჯირებულ რისკს და რომლის გადაფარვაც (კომპენსირებაც) ხდება ჰეჯირების ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილებით (იხ. „ა“ დანართის პუნქტები მგ105-მგ113ა).

10-

70. [გაუქმებულია]

ჰეჯირება

71. თუ საწარმო იყენებს ფასს 9-ს და არ გადაუწყვეტია, რომ სააღრიცხვო პოლიტიკად აირჩიოს ჰეჯირების აღრიცხვის გაგრძელება წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად (იხ. ფასს 9-ის 7.2.21 პუნქტი), მან უნდა გამოიყენოს ფასს 9-ის მე-6 თავში განსაზღვრული მოთხოვნები ჰეჯირების აღრიცხვის შესახებ. თუმცა, ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების პორტფელის ნაწილის საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართლიანი ღირებულების ჰეჯირებისთვის საწარმოს ფასს 9-ის 6.1.3 პუნქტის შესაბამისად უფლება აქვს, გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები ჰეჯირების აღრიცხვის შესახებ, ფასს 9-ის შესაბამისი მოთხოვნების ნაცვლად. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ აგრეთვე უნდა გამოიყენოს სამართლიანი ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვის სპეციალური მოთხოვნები პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებისას (იხ. პუნქტები 81ა, 89ა და მგ114-მგ132).

ჰეჯირების ინსტრუმენტები

ინსტრუმენტები, რომლებიც ჰეჯირების ინსტრუმენტის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს

72. წინამდებარე სტანდარტი არ ზღუდავს შემთხვევებს, როდესაც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება კლასიფიცირებული იყოს, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი 88-ე პუნქტში მოცემული პირობების შესაბამისად. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ზოგიერთი სახის გაყიდული ოფციონი (იხ. „ა“ დანართის პუნქტი მგ94). თუმცა, არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ან არაწარმოებული ფინანსური ვალდებულების კლასიფიცირება ჰეჯირების ინსტრუმენტად შესაძლებელია მხოლოდ სავალუტო რისკის ჰეჯირების დროს.

73. ჰეჯირების აღრიცხვის მიზნით, მხოლოდ ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიცირება არის შესაძლებელი ჰეჯირების ინსტრუმენტებად, რომლებშიც ჩართულია ანგარიშვალდებული საწარმოს გარეშე მხარე (ე.ი. ჯგუფის, ან ინდივიდუალური საწარმოს გარეშე მხარე). მართალია, ჰეჯირების ოპერაციების განხორციელება ასევე შეუძლიათ კონსოლიდირებულ ჯგუფში გაერთიანებულ ინდივიდუალურ საწარმოებს, ან რომელიმე საწარმოს ქვედანაყოფებს ჯგუფში შემავალ სხვა საწარმოებთან ან რომელიმე საწარმოს ქვედანაყოფებთან ერთად, მაგრამ კონსოლიდირებისას ნებისმიერი ასეთი შიდა ჯგუფური ოპერაცია ელიმინირდება. შესაბამისად, ჰეჯირების ამგვარი ოპერაციები ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჰეჯირების აღრიცხვად არ განიხილება. თუმცა, ჯგუფში შემავალი ცალკეული საწარმოების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ზემოაღნიშნული ოპერაციები შეიძლება განხილულ იქნეს ჰეჯირების აღრიცხვად, იმ პირობით, თუ ისინი ანგარიშვალდებული საწარმოსთვის გარეშე მხარეები არიან.

ჰეჯირების ინსტრუმენტების კლასიფიცირება

74. როგორც წესი, ჰეჯირების ინსტრუმენტი შეფასდება ერთიანი სამართლიანი ღირებულებით. ამასთან, ფაქტორები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების ცვლილებებს იწვევს, ურთიერთდაკავშირებულია. ამგვარად, საწარმო ჰეჯირების ურთიერთობას განიხილავს მთლიან ჰეჯირების ინსტრუმენტთან მიმართებაში. დასაშვებ გამონაკლისებს წარმოადგენს მხოლოდ:
- ა) ოფციონის ხელშეკრულების საკუთარი ღირებულებისა და დროითი ღირებულების ერთმანეთისაგან განცალკევება და მხოლოდ ოფციონის საკუთარი ღირებულების მიჩნევა ჰეჯირების ინსტრუმენტად და დროითი ღირებულების ცვლილების გამორიცხვა; და
 - ბ) ფორვარდული ხელშეკრულების პროცენტის ელემენტისა და სპოტ-ფასის განცალკევება.
- აღნიშნული გამონაკლისები დაშვებულია იმის გამო, რომ ოფციონის საკუთარი ღირებულებისა და პრემიის შეფასება, საზოგადოდ, შესაძლებელია ცალ-ცალკე. ჰეჯირების დინამიკურმა სტრატეგიამ, რომელიც განსაზღვრავს ოფციონის ხელშეკრულების საკუთარ ღირებულებასა და ოფციონის დროით ღირებულებას, შეიძლება დააკმაყოფილოს ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმები.
75. ჰეჯირების ურთიერთობაში ჰეჯირების ინსტრუმენტის ნაწილი (მაგ., ნომინალური ღირებულების 50%), შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჰეჯირების ინსტრუმენტად. თუმცა, ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიცირება არ შეიძლება მხოლოდ დროის პერიოდის იმ ნაწილისთვის, რომლის განმავლობაშიც ჰეჯირების ინსტრუმენტი მიმოქცევაში რჩება.
76. ერთი ჰეჯირების ინსტრუმენტი ჰეჯირების ინსტრუმენტად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ერთზე მეტი რისკის ჰეჯირებისას, თუ შესაძლებელია: (ა) ჰეჯირების რისკის განსაზღვრა; (ბ) ჰეჯირების ეფექტურობის დემონსტრირება; (გ) დამტკიცდეს, რომ არსებობს ჰეჯირების ინსტრუმენტისა და განსხვავებული სარისკო პოზიციების სპეციფიკური კლასიფიკაცია.
77. ორი ან მეტი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, ან მათი ნაწილები (ან სავალუტო რისკის ჰეჯირების შემთხვევაში, ორი ან მეტი არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, ან მათი ნაწილები, ან წარმოებული და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების, ან მათი ნაწილების გაერთიანება) შეიძლება განხილულ იქნეს კომბინირებულად და ერთობლივად იქნეს მიჩნეული ჰეჯირების ინსტრუმენტად, მათ შორის, როდესაც ზოგიერთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკ(ებ)ი გადაფარავს სხვა ინსტრუმენტებიდან წარმოშობილ რისკებს. თუმცა, საპროცენტო განაკვეთის ქოლარი, ან სხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც აერთიანებს გაყიდულ (გამოშვებულ) და შესყიდულ ოფციონებს, არ აკმაყოფილებს ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირების კრიტერიუმებს იმ შემთხვევაში, თუ რეალურად იგი წარმოადგენს ნეტო გაყიდულ ოფციონს (რომელზეც ნეტო პრემია მიღებულია). ანალოგიურად, ორი ან მეტი ფინანსური ინსტრუმენტი (ან მათი ნაწილები) ჰეჯირების ინსტრუმენტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს გაყიდულ ოფციონს ან ნეტო გაყიდულ ოფციონს.

ჰეჯირებული მუხლები

მუხლები, რომლებიც ჰეჯირების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს

78. ჰეჯირებული მუხლი შეიძლება იყოს აღიარებული აქტივი ან ვალდებულება, არააღიარებული მყარი დაპირება (ვალდებულება), მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული გარიგება, ან უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიცია. ჰეჯირებული მუხლი შეიძლება იყოს (ა) ცალკეული აქტივი, ვალდებულება, მყარი დაპირება (ვალდებულება), მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული გარიგება, ან უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიცია, (ბ) მსგავსი სარისკო მახასიათებლების მქონე აქტივების, ვალდებულებების, მყარი დაპირებების (ვალდებულებების), მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული გარიგებების ჯგუფი, ან ნეტო ინვესტიციები უცხოურ ქვედანაყოფში, ან (გ) მხოლოდ პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკების ჰეჯირების ოპერაციებში - ისეთი ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების პორტფელის ნაწილი, რომელთაც ჰეჯირებისთვის გამიზნული საერთო რისკი აქვთ.
79. [გაუქმებულია]

80. ჰეჯირების აღრიცხვის მიზნით, ჰეჯირებულ მუხლად შეიძლება იქნეს კლასიფიცირებული მხოლოდ ისეთი აქტივები, ვალდებულებები, მყარი დაპირებები (ვალდებულებები) ან მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული გარიგებები, რომლებშიც ჩართულია ანგარიშვალდებული საწარმოს გარეშე მხარე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება ერთი და იმავე ჯგუფის საწარმოებს შორის განხორციელებული ოპერაციების დროს შეიძლება მხოლოდ ამ საწარმოთა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში და არ შეიძლება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. თუმცა, ეს აკრძალვა არ ეხება საინვესტიციო საწარმოს (როგორც განმარტებულია ფასს 10-ში) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, როდესაც საინვესტიციო საწარმოსა და მის შვილობილ საწარმოებს (რომლებიც აღრიცხება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით) შორის განხორციელებული ოპერაციები არ ელიმინირდება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. გამონაკლისის სახით, შიდაჯგუფური ფულადი მუხლის სავალუტო რისკი (ე.ი. ვალდებულებები და მოთხოვნები ორ შვილობილ საწარმოს შორის) შეიძლება კლასიფიცირებული იყოს, როგორც ჰეჯირებული მუხლი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, თუ სავალუტო კურსის ცვლილების შედეგად მოსალოდნელი შემოსულობა ან ზარალი კონსოლიდირებისას მთლიანად არ იქნება ელიმინირებული ბასს 21-ის - „*უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები*“ - შესაბამისად. ბასს 21-ის თანახმად, კონსოლიდირების დროს, შიდაჯგუფურ ფულად მუხლთან დაკავშირებით მიღებული საკურსო სხვაობის შემოსულობა და ზარალი მთლიანად არ ელიმინირდება, როდესაც შიდაჯგუფურ ფულად მუხლთან დაკავშირებული ოპერაცია განხორციელდება ჯგუფში შემავალ ორ საწარმოს შორის, რომლებსაც განსხვავებული სამუშაო ვალუტა აქვთ. გარდა ამისა, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მაღალი ალბათობით მოსალოდნელი შიდაჯგუფური პროგნოზირებული გარიგების სავალუტო რისკი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჰეჯირებულ მუხლად, თუ ეს გარიგება გამოსახული არ არის გარიგების მონაწილე საწარმოს სამუშაო ვალუტაში და სავალუტო რისკი გავლენას იქონიებს კონსოლიდირებულ მოგებაზე ან ზარალზე.

ფინანსური მუხლების კლასიფიცირება ჰეჯირებულ მუხლებად

81. თუ ჰეჯირებული მუხლი ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულებაა, იგი შეიძლება იყოს ჰეჯირებული მუხლი ისეთ რისკებთან მიმართებით, რომლებიც დაკავშირებულია მხოლოდ მისი სამართლიანი ღირებულების ან ფულადი ნაკადების ნაწილთან (როგორცაა, მაგალითად ერთი ან მეტი შერჩეული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები ან მათი ნაწილები, ან სამართლიანი ღირებულების მიმართ განსაზღვრული გარკვეული პროცენტი), იმ პირობით, თუ ეფექტურობის შეფასება შესაძლებელია. მაგალითად, პროცენტთან აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთის რისკის იდენტიფიცირებადი და განცალკევებით შეფასებადი ნაწილი შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც ჰეჯირებული რისკი (როგორცაა ურისკო საპროცენტო განაკვეთი ან საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს ჰეჯირებულ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული მთლიანი საპროცენტო განაკვეთის რისკის შემადგენელ ნაწილს).

81ა. ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართლიანი ღირებულების ჰეჯირებისას (და მხოლოდ ასეთი ჰეჯირებისას), ჰეჯირებული ნაწილი შეიძლება გამოისახოს ვალუტის (ფულადი) ერთეულებით (ე.ი. დოლარებით, ევროთი ან რანდით) და არა ინდივიდუალური აქტივებით (ან ვალდებულებებით). ამასთან, რისკის მართვის მიზნით პორტფელი შეიძლება შეიცავდეს აქტივებსა და ვალდებულებებს, მაგრამ ჰეჯირებისათვის განსაზღვრული სიდიდე იქნება აქტივების ან ვალდებულებების ოდენობა. აქტივებისა და ვალდებულებების ნეტო ღირებულების განსაზღვრა ჰეჯირებისთვის დაშვებული არ არის. საწარმოს შეუძლია ზემოაღნიშნულ ჰეჯირებისთვის განსაზღვრულ ღირებულებასთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთის რისკის ნაწილის ჰეჯირება. მაგ., პორტფელის ჰეჯირების შემთხვევაში, რომელიც შეიცავს ისეთ აქტივებს, რომლებიც ითვალისწინებს წინასწარ გადახდას, საწარმოს შეუძლია ჰეჯირებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე მისაკუთვნებელი სამართლიანი ღირებულების ცვლილების ჰეჯირება, საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის მოსალოდნელ თარიღებზე დაყრდნობით, სახელშეკრულებო თარიღების ნაცვლად. როდესაც ჰეჯირებული ნაწილი ეყრდნობა საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის მოსალოდნელ თარიღებს, ჰეჯირებული მუხლის სამართლიანი ღირებულების ცვლილებების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ჰეჯირებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების გავლენა განაკვეთების

გადასინჯვის მოსალოდნელ თარიღებზე. შესაბამისად, თუ პორტფელი შეიცავს მუხლებს, რომლებიც ექვემდებარება წინასწარ გადახდას და მისი ჰეჯირება ხდება ისეთ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტთან ერთად, რომელიც არ ექვემდებარება წინასწარ გადახდას, წარმოიშობა არაფექტურობა, თუკი შეიცვლება ის თარიღები, როდესაც მოსალოდნელია წინასწარი გადახდა, ან ფაქტობრივი წინასწარგადახდის თარიღები განსხვავებული იქნება ნავარაუდები თარიღებისაგან.

არაფინანსური მუხლების კლასიფიცირება ჰეჯირებულ მუხლებად

- 82. თუ ჰეჯირებული მუხლი არის არაფინანსური აქტივი ან არაფინანსური ვალდებულება, იგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც ჰეჯირებული მუხლი (ა) სავალუტო რისკებთან მიმართებაში, ან (ბ) მთლიანად ყველა რისკთან მიმართებით, ვინაიდან ძნელია, ცალკე გამოიყოს და შეფასდეს ფულადი ნაკადების, ან სამართლიანი ღირებულების ცვლილებების ის ნაწილი, რომლის მიკუთვნებაც შესაძლებელია სავალუტო რისკების გარდა სხვა კონკრეტულ რისკებზე.

მუხლების ჯგუფების კლასიფიცირება ჰეჯირებულ მუხლებად

- 83. მსგავსი აქტივები ან მსგავსი ვალდებულებები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გაერთიანდეს ერთ ჯგუფში და ისე განხორციელდეს მათი ჰეჯირება, თუ ჯგუფში შემავალი ინდივიდუალური აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარებიან ამა თუ იმ საერთო რისკს, რომელიც საწარმოს განიხილავს, როგორც ჰეჯირებულ რისკს. გარდა ამისა, მოსალოდნელი უნდა იყოს, რომ ჯგუფში ყოველი ინდივიდუალური მუხლის ჰეჯირებულ რისკზე მიკუთვნებადი სამართლიანი ღირებულების ცვლილება დაახლოებით პროპორციული იქნება მუხლების მთლიანი ჯგუფის ჰეჯირებულ რისკზე მიკუთვნებადი სამართლიანი ღირებულების მთლიანი ცვლილების.
- 84. ვინაიდან საწარმო ჰეჯირების ეფექტურობას განსაზღვრავს ჰეჯირების ინსტრუმენტისა (ან მსგავსი ჰეჯირების ინსტრუმენტების ჯგუფის) და ჰეჯირებული მუხლის (ან მსგავსი ჰეჯირებული მუხლების ჯგუფის) სამართლიანი ღირებულების, ან ფულადი ნაკადების ცვლილების შედარებით, ჰეჯირების ინსტრუმენტის შედარება ერთიან ნეტო პოზიციასთან (ე.ი. ყველა მსგავსი დაფარვის ვადის მქონე ფიქსირებულგანაკვეთიანი აქტივისა და ვალდებულების ნეტო სიდიდესთან შედარება) და არა კონკრეტულ ჰეჯირებულ მუხლთან, არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს.

ჰეჯირების აღრიცხვა

- 85. ჰეჯირების აღრიცხვა ასახავს ჰეჯირების ინსტრუმენტისა და ჰეჯირებული მუხლის სამართლიანი ღირებულებების ურთიერთგადამფარავი ცვლილებების გავლენას მოგებაზე ან ზარალზე.

- 86. არსებობს სამი ტიპის ჰეჯირების ურთიერთობა:

- ა) *სამართლიანი ღირებულების ჰეჯირება*: აღიარებული აქტივისა და ვალდებულების, ან აუღიარებელი მყარი დაპირების (ვალდებულების), ან ასეთი აქტივის, ვალდებულების ან მყარი დაპირების (ვალდებულების) გარკვეული ნაწილის სამართლიანი ღირებულების მოსალოდნელი ცვლილებების ჰეჯირება, რომელიც გამოწვეულია კონკრეტული რისკით და შეუძლია გავლენის მოხდენა მოგებაზე ან ზარალზე;
- ბ) *ფულადი ნაკადების ჰეჯირება*: ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ცვლელადობის ჰეჯირება, რაც (1) გამოწვეულია აღიარებულ აქტივთან ან ვალდებულებასთან, ან მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებასთან დაკავშირებული კონკრეტული რისკით (როგორცაა ცვალებადგანაკვეთიან სავალო ინსტრუმენტთან დაკავშირებული ყველა ან ზოგიერთი სამომავლო საპროცენტო გადასახდელი) და (2) რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა მოგებაზე ან ზარალზე;
- გ) *უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციების* (როგორც განმარტებულია ბასს 21-ში) ჰეჯირება.

- 87. მყარი დაპირების (ვალდებულების) სავალუტო რისკის ჰეჯირება შეიძლება აისახოს, როგორც სამართლიანი ღირებულების ჰეჯირება, ან ფულადი ნაკადების ჰეჯირება.

88. ჰეჯირების ურთიერთობა მხოლოდ იმ შემთხვევაში კლასიფიცირდება ჰეჯირების აღრიცხვად 89-102-ე პუნქტების თანახმად, თუ ქვემოთ მოყვანილი ყველა პირობა დაკმაყოფილებული:

- ა) ჰეჯირების ურთიერთობის დაწყებისას ჰეჯირების ურთიერთობას მინიჭებული აქვს ფორმალური კლასიფიკაცია და არსებობს ჰეჯირების ურთიერთობის, საწარმოს რისკის მართვის მიზნისა და ჰეჯირების განხორციელების სტრატეგიის დოკუმენტაცია. აუცილებელი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს ჰეჯირების ინსტრუმენტის, ჰეჯირებული მუხლის, ან გარიგების, ჰეჯირებული რისკის ხასიათის იდენტიფიცირებას და იმ მეთოდის აღწერას, როგორ აფასებს საწარმო ჰეჯირების ინსტრუმენტის ეფექტურობას, ჰეჯირებული რისკით გამოწვეული ჰეჯირებული მუხლის სამართლიანი ღირებულების ან ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებების გადაფარვის თვალსაზრისით;
- ბ) მოსალოდნელია, რომ ჰეჯირება მაღალეფექტური იქნება (იხ. „ა“ დანართის პუნქტები მგ105 - მგ113ა) ჰეჯირებული რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულებისა და ფულადი ნაკადების ცვლილებების გადაფარვის მისაღწევად, თავდაპირველად დოკუმენტირებული რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისად, რომელიც ეხება ამ კონკრეტულ ჰეჯირების ურთიერთობას;
- გ) ფულადი ნაკადების ჰეჯირების შემთხვევაში - პროგნოზირებული გარიგება, რომელიც წარმოადგენს ჰეჯირების ობიექტს, მაღალი ალბათობით უნდა იყოს მოსალოდნელი და ამის შედეგად ფულადი ნაკადები უნდა ექვემდებარებოდეს ისეთ ცვლილებებს, რომლებსაც, საბოლოო ჯამში, შეუძლია გავლენის მოხდენა მოგებაზე ან ზარალზე;
- დ) შესაძლებელია ჰეჯირების ეფექტურობის საიმედოდ შეფასება. ე.ი. შესაძლებელია ჰეჯირებული მუხლის სამართლიანი ღირებულების ან ფულადი ნაკადებისა (რომელიც მიეკუთვნება ჰეჯირებულ რისკს) და ჰეჯირების ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება;
- ე) ჰეჯირების შეფასება ხდება განუწყვეტლივ და მაღალეფექტურად მიიჩნევა ყველა საანგარიშგებო პერიოდში, რომლისთვისაც საწარმომ განსაზღვრა ჰეჯირება.

სამართლიანი ღირებულების ჰეჯირება

89. თუ სამართლიანი ღირებულების ჰეჯირება 88-ე პუნქტის პირობებს აკმაყოფილებს მოცემული პერიოდის განმავლობაში, ამგვარი ჰეჯირების ურთიერთობა უნდა აისახოს შემდეგნაირად:

- ა) შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ჰეჯირების ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულებით გადაფასებისას (წარმოებული ჰეჯირების ინსტრუმენტისთვის), ან უცხოური ვალუტის კომპონენტისთვის საბალანსო ღირებულებით შეფასებისას ბასს 21-ის თანახმად (არაწარმოებული ჰეჯირების ინსტრუმენტისთვის), უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში; და
- ბ) ჰეჯირებული მუხლის საბალანსო ღირებულება უნდა გაკორექტირდეს ჰეჯირებული მუხლიდან მიღებული შემოსულობით ან ზარალით, რომელიც დაკავშირებულია ჰეჯირებულ რისკთან და აღიარდეს მოგებაში ან ზარალში. ეს მეთოდი მაშინ გამოიყენება, თუ ჰეჯირებული მუხლი შეფასებულია თვითღირებულებით. ჰეჯირებულ რისკთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი იმ შემთხვევაში აღიარდება მოგებაში ან ზარალში, თუ ჰეჯირებული მუხლი არის ფინანსური აქტივი, რომელიც ფასს 9-ის 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

89ა. ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების პორტფელის ნაწილის საპროცენტო განაკვეთის რისკის პოზიციის სამართლიანი ღირებულების ჰეჯირებისას (და მხოლოდ ასეთი ჰეჯირებისას), 89(ბ) პუნქტში მოცემული მოთხოვნები შეიძლება შესრულდეს იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ჰეჯირებულ მუხლთან დაკავშირებულ შემოსულობას ან ზარალს წარადგენს:

- ა) როგორც ერთ განცალკევებულ მუხლს, აქტივების შემადგენლობაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში - საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვის იმ პერიოდებთან მიმართებით, რომელშიც ჰეჯირებული მუხლი წარმოადგენს აქტივს; ან

- ბ) როგორც ერთ განცალკევებულ მუხლს, ვალდებულებების შემადგენლობაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში - საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვის იმ პერიოდებთან მიმართებით, რომელშიც ჰეჯირებული მუხლი წარმოადგენს ვალდებულებას.
- (ა) და (ბ) პუნქტებში მითითებული განცალკევებული მუხლები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა აისახოს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შემდეგ. ამ მუხლებში ასახული თანხები ამოღებულ უნდა იქნეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, როდესაც მათთან დაკავშირებული აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება შეწყდება.
90. თუ ჰეჯირებულ მუხლთან დაკავშირებული მხოლოდ ზოგიერთი რისკი არის ჰეჯირებული, ჰეჯირებული მუხლის სამართლიანი ღირებულების აღიარებული ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ჰეჯირებულ რისკთან, უნდა აღიარდეს ფასს 9-ის 5.7.1 პუნქტის შესაბამისად.
91. საწარმომ პერსპექტიულად უნდა შეწყვიტოს ჰეჯირების აღრიცხვა 89-ე პუნქტის შესაბამისად, თუ:
- ა) ჰეჯირების ინსტრუმენტს ვადა გაუვიდა ან გაიყიდა, შეწყდა ან დაიფარა. ამ მოთხოვნის მიზნებისთვის ჰეჯირების ინსტრუმენტის ვადის გაგრძელება ან სხვა ჰეჯირების ინსტრუმენტით შეცვლა არ მიიჩნევა მისი ვადის გასვლად ან მოქმედების შეწყვეტად, თუ ამგვარი ჩანაცვლება ან ვადის გაგრძელება გათვალისწინებულია საწარმოს დოკუმენტირებულ ჰეჯირების სტრატეგიაში. გარდა ამისა, ამ მოთხოვნის მიზნებისთვის არ მიიჩნევა, რომ ჰეჯირების ინსტრუმენტს ვადა გაუვიდა, ან მისი მოქმედება შეწყდა, თუ:
- (i) მოქმედი კანონმდებლობის, ან ახალი კანონებისა თუ სხვა ნორმატიული აქტების ამოქმედების ფარგლებში ჰეჯირების ინსტრუმენტში მონაწილე მხარეები შეთანხმდებიან, რომ ერთი ან რამდენიმე კლირინგული კონტრაჰენტი შეცვლის თავდაპირველ კონტრაჰენტს და გახდება თითოეული მხარის ახალი კონტრაჰენტი. ამ მიზნებისთვის, კლირინგულ კონტრაჰენტად მიიჩნევა ცენტრალური კონტრაჰენტი (ზოგჯერ უწოდებენ „კლირინგულ ორგანიზაციას“, ან „კლირინგულ სააგენტოს“), ან, მაგალითად კლირინგული ორგანიზაციის წევრი/მონაწილე საწარმო ან საწარმოები, ან კლირინგული ორგანიზაციის მონაწილის კლიენტი, რომელიც მოქმედებს როგორც კონტრაჰენტი, ცენტრალური კონტრაჰენტის მიერ კლირინგის განხორციელების საკითხში. ამასთან, იმ შემთხვევაში, როდესაც ჰეჯირების ინსტრუმენტის მონაწილე მხარეები ცვლიან თავის თავდაპირველ კონტრაჰენტებს სხვადასხვა კონტრაჰენტით, წინამდებარე პუნქტის გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ თითოეული ახალი კონტრაჰენტი კლირინგს ახორციელებს ერთი და იმავე ცენტრალურ კონტრაჰენტთან;
- (ii) ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები, თუ ეს მოხდება, შემოიფარგლება მხოლოდ ისეთი ცვლილებებით, რომლებიც აუცილებელია კონტრაჰენტის ზემოთ აღწერილი ჩანაცვლების განსახორციელებლად. ამგვარი ცვლილებები შემოიფარგლება ისეთი ცვლილებებით, რაც მოსალოდნელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ჰეჯირების ინსტრუმენტი თავდაპირველად ითვალისწინებდა კლირინგის განხორციელებას კლირინგის კონტრაჰენტთან. ამგვარი ცვლილებები მოიცავს ცვლილებებს უზრუნველყოფისადმი წაყენებულ მოთხოვნებში, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაშთების ურთიერთჩათვლის უფლებებსა და ამოსაღებ გადასახდელ თანხებთან მიმართებაში.
- ბ) ჰეჯირება უკვე აღარ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს 88-ე პუნქტის შესაბამისად; ან
- გ) საწარმო აუქმებს ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიცირებას.
92. 89(ბ) პუნქტის გამოყენებით წარმოშობილი ნებისმიერი კორექტირება ისეთი ჰეჯირებული ფინანსური ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულების, რომლისთვისაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი გამოიყენება (ან პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირების შემთხვევაში, 89(ა) პუნქტში აღწერილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განცალკევებული მუხლებისთვის) უნდა დაექვემდებაროს ამორტიზაციას (ჩამოიწეროს) მოგების ან ზარალის ანგარიშის მეშვეობით. საწარმოს უფლება აქვს, ამორტიზაცია დაიწყოს კორექტირების

დაწყებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს იმ მომენტისა, როდესაც ჰეჯირებული მუხლის კორექტირება საჭირო აღარ არის მისი სამართლიანი ღირებულების ისეთი ცვლილებების შესაბამისად, რაც დაკავშირებულია ჰეჯირებულ რისკთან. კორექტირება განისაზღვრება ამორტიზაციის დაწყების თარიღისთვის გადაანგარიშებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. თუმცა, თუ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართლიანი ღირებულების ჰეჯირებისას (და მხოლოდ ამგვარი ჰეჯირებისას) ხელახლა გადაანგარიშებული საპროცენტო განაკვეთით ამორტიზება პრაქტიკულად შეუძლებელია, კორექტირების თანხის ამორტიზება უნდა განხორციელდეს წრფივი მეთოდით. კორექტირების თანხა მთლიანად უნდა ჩამოიწეროს ფინანსური ინსტრუმენტის დაფარვის შედეგად, ხოლო პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირების შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვის შესაბამისი პერიოდის ამოწურვის შედეგად.

93. როდესაც აღიარებული მყარი დაპირება (ვალდებულება) კლასიფიცირდება როგორც ჰეჯირებული მუხლი, ჰეჯირებულ რისკთან დაკავშირებული მყარი დაპირების (ვალდებულების) სამართლიანი ღირებულების შემდგომი დაგროვილი ცვლილება აღიარდება როგორც აქტივი ან ვალდებულება, ხოლო შესაბამისი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში (იხ. პუნქტი 89(ბ)). ჰეჯირების ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცვლილებაც ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
94. როდესაც ჰეჯირებული მუხლი არის აქტივის შესყიდვის ან ვალდებულების აღების მყარი დაპირების (ვალდებულების) გარიგება სამართლიანი ღირებულების ჰეჯირებისას, ამ აქტივის ან ვალდებულების საწყისი საბალანსო ღირებულება, რომელიც წარმოიშვა საწარმოს მიერ მყარი დაპირების (ვალდებულების) შესრულების შედეგად, კორექტირდება იმ მიზნით, რომ აისახოს ჰეჯირებულ რისკთან დაკავშირებული მყარი დაპირების (ვალდებულების) სამართლიანი ღირებულების დაგროვილი ცვლილება, რომელიც აღიარებული იყო საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში.

ფულადი ნაკადების ჰეჯირება

95. თუ ფულადი ნაკადები აკმაყოფილებს 88-ე პუნქტის პირობებს მთელი პერიოდის განმავლობაში, იგი ბუღალტრულად უნდა აისახოს შემდეგნაირად:
 - ა) ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი, რომელიც განიხილება ეფექტურ ჰეჯირებად (იხ. 88-ე პუნქტი), უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში; და
 - ბ) ჰეჯირების ინსტრუმენტის შემოსულობის ან ზარალის არაეფექტური ნაწილი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.
96. უფრო დეტალურად, ფულადი ნაკადების ჰეჯირება აღირიცხება შემდეგი სახით:
 - ა) ჰეჯირებულ მუხლთან დაკავშირებული კაპიტალის განცალკევებული კომპონენტი კორექტირდება შემდეგი სიდიდეებიდან უმცირეს სიდიდემდე (აბსოლუტურ თანხებში):
 - (i) ჰეჯირების დაწყების მომენტიდან ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი; და
 - (ii) ჰეჯირებულ მუხლთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულების (დღევანდელი ღირებულების) დაგროვილი ცვლილება, ჰეჯირების დაწყების მომენტიდან;
 - ბ) ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული ნებისმიერი შემოსულობის ან ზარალის დარჩენილი ნაწილი, ან მისი კომპონენტი, რომელიც არ წარმოადგენს ეფექტურ ჰეჯირებას, აღიარდება მოგებაში ან ზარალში; და
 - გ) თუ გარკვეული სახის ჰეჯირების ურთიერთობისას რისკის მართვის საწარმოს დოკუმენტირებული სტრატეგია ჰეჯირების ეფექტურობის დადგენისას გამოიცხადებს ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული შემოსულობის ან ზარალის ან ფულადი ნაკადების რომელიმე სპეციფიკურ კომპონენტს (იხ. პუნქტები 74-ე, 75-ე და 88 (ა)), შემოსულობის ან

ზარალის შემადგენლობიდან ზემოხსენებული გამორიცხული კომპონენტი აღიარდება ფასს 9-ის 5.7.1 პუნქტის შესაბამისად.

97. თუ პროგნოზირებული გარიგების ჰეჯირება იწვევს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების აღიარებას, მასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში 95-ე პუნქტის შესაბამისად, რეკლასიფიცირდება საკუთარი კაპიტალიდან მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირების თანხა (იხ. ბასს 1 (შესწორებული 2007 წელს)) იმავე პერიოდში ან პერიოდებში, რომლის განმავლობაშიც ჰეჯირებული პროგნოზირებული ფულადი ნაკადები ზეგავლენას ახდენს მოგებაზე ან ზარალზე (მაგალითად, იმავე პერიოდებში, როდესაც საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აღიარდება). თუმცა, თუ საწარმო ვარაუდობს, რომ სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული მთლიანი ზარალი ან მისი ნაწილი არ დაიფარება ერთი ან მეტი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მან, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება, მოგებაში ან ზარალში უნდა გადაიტანოს ზარალის ის თანხა, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელი აღარ არის.
98. იმ შემთხვევაში, თუ პროგნოზირებული გარიგების ჰეჯირება იწვევს არაფინანსური აქტივის ან არაფინანსური ვალდებულების აღიარებას, ან არაფინანსური აქტივის ან არაფინანსური ვალდებულების შესახებ პროგნოზირებული გარიგება გადაიქცევა მყარ ვალდებულებად, რომლისთვისაც სამართლიანი ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვა გამოიყენება, საწარმომ უნდა მიმართოს შემდეგ (ა) ან (ბ) ქვეპუნქტს:
- ა) 95-ე პუნქტის შესაბამისად სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა და ზარალი უნდა გადაიტანოს მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება (იხ. ბასს 1 (შესწორებული 2007 წელს)), იმავე პერიოდში ან პერიოდებში, რომლის განმავლობაშიც შემენილი აქტივი ან აღებული ვალდებულება ზეგავლენას ახდენს მოგებაზე ან ზარალზე (მაგალითად, იმავე პერიოდში, რომელშიც ცვეთის ხარჯები ან გაყიდული საქონლის თვითღირებულება აღიარდება). თუმცა, თუ საწარმო ვარაუდობს, რომ სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული მთლიანი ზარალი ან მისი ნაწილი არ დაიფარება ერთი ან მეტი მომავალი პერიოდის განმავლობაში, მან, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება, მოგებაში ან ზარალში უნდა გადაიტანოს ზარალის ის თანხა, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელი აღარ არის;
- ბ) 95-ე პუნქტის შესაბამისად სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა და ზარალი უნდა ამოიღოს სხვა სრული შემოსავლის შემადგენლობიდან და გადაიტანოს აქტივისა თუ ვალდებულების საწყის ან საბალანსო ღირებულებაში.
99. საწარმომ სააღრიცხვო პოლიტიკად უნდა მიიღოს 98-ის (ა) ან (ბ) ქვეპუნქტი და უცვლელად გამოიყენოს ყველა ჰეჯირებისთვის, რომელთანაც დაკავშირებულია 98-ე პუნქტი.
100. ფულადი ნაკადების ჰეჯირებისას, 97-ე და 98-ე პუნქტებში აღწერილი შემთხვევების გარდა, ყველა სხვა შემთხვევაში, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხები რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება (იხ. ბასს 1 (შესწორებული 2007 წელს)), იმავე პერიოდში ან იმ პერიოდებში, რომლის განმავლობაშიც ჰეჯირებული პროგნოზირებული ფულადი ნაკადები გავლენას იქონიებს მოგებაზე ან ზარალზე (მაგალითად, როდესაც პროგნოზირებული გაყიდვა განხორციელდება).
101. საწარმომ პერსპექტიულად უნდა შეწყვიტოს 95-100-ე პუნქტების შესაბამისად ჰეჯირების აღრიცხვა, ნებისმიერ ქვემოთ აღწერილ შემთხვევაში:
- ა) ჰეჯირების ინსტრუმენტს ვადა გაუვიდა ან გაიყიდა, შეწყდა ან დაიფარა. ასეთ შემთხვევაში, ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებით დაგროვილი შემოსულობის ან ზარალის (რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში იმ პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც ჰეჯირება ეფექტური იყო) (იხ. პუნქტი 95(ა)) საკუთარ კაპიტალში ცალკე მუხლად აღიარება უნდა გაგრძელდეს მანამდე, ვიდრე პროგნოზირებული გარიგება შედგება. როდესაც გარიგება შედგება, საწარმომ უნდა გამოიყენოს 97-ე, 98-ე ან მე-100 პუნქტები. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის ჰეჯირების ინსტრუმენტის ვადის გაგრძელება ან სხვა ჰეჯირების ინსტრუმენტით შეცვლა არ მიიჩნევა მისი ვადის გასვლად ან მოქმედების შეწყვეტად, თუ ამგვარი ჩანაცვლება ან ვადის გაგრძელება გათვალისწინებულია საწარმოს

დოკუმენტირებულ ჰეჯირების სტრატეგიაში. შესაბამისად, ამ მოთხოვნის მიზნებისთვის არ მიიჩნევა, რომ ჰეჯირების ინსტრუმენტს ვადა გაუვიდა, ან მისი მოქმედება შეწყდა, თუ:

- (i) მოქმედი კანონმდებლობის, ან ახალი კანონებისა თუ სხვა ნორმატიული აქტების ამოქმედების ფარგლებში ჰეჯირების ინსტრუმენტში მონაწილე მხარეები შეთანხმდებიან, რომ ერთი ან რამდენიმე კლირინგული კონტრაჰენტი შეცვლის თავდაპირველ კონტრაჰენტს და გახდება თითოეული მხარის ახალი კონტრაჰენტი. ამ მიზნებისთვის, კლირინგულ კონტრაჰენტად მიიჩნევა ცენტრალური კონტრაჰენტი (ზოგჯერ უწოდებენ „კლირინგულ ორგანიზაციას“, ან „კლირინგულ სააგენტოს“), ან, მაგალითად კლირინგული ორგანიზაციის წევრი/მონაწილე საწარმო ან საწარმოები, ან კლირინგული ორგანიზაციის მონაწილის კლიენტი, რომელიც მოქმედებს როგორც კონტრაჰენტი ცენტრალური კონტრაჰენტის მიერ კლირინგის განხორციელების საკითხში. ამასთან, იმ შემთხვევაში, როდესაც ჰეჯირების ინსტრუმენტის მონაწილე მხარეები ცვლიან თავის თავდაპირველ კონტრაჰენტებს სხვადასხვა კონტრაჰენტით, წინამდებარე პუნქტის გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ თითოეული ახალი კონტრაჰენტი კლირინგს ახორციელებს ერთი და იმავე ცენტრალურ კონტრაჰენტთან;
 - (ii) ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები, თუ ეს მოხდება, შემოიფარგლება მხოლოდ ისეთი ცვლილებებით, რომლებიც აუცილებელია კონტრაჰენტის ზემოთ აღწერილი ჩანაცვლების განსახორციელებლად. ამგვარი ცვლილებები შემოიფარგლება ისეთი ცვლილებებით, რაც მოსალოდნელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ჰეჯირების ინსტრუმენტი თავდაპირველად ითვალისწინებდა კლირინგის განხორციელებას კლირინგის კონტრაჰენტთან. ამგვარი ცვლილებები მოიცავს ცვლილებებს უზრუნველყოფისადმი წაყენებულ მოთხოვნებში, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაშთების ურთიერთჩათვლის უფლებებსა და ამოსაღებ გადასახდელ თანხებთან მიმართებაში.
- ბ) ჰეჯირება უკვე აღარ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს 88-ე პუნქტის თანახმად. ასეთ შემთხვევაში, ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებით დაგროვილი შემოსულობის ან ზარალის (რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში იმ პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც ჰეჯირება ეფექტური იყო) (იხ. პუნქტი 95(ა)) საკუთარ კაპიტალში ცალკე მუხლად აღიარება უნდა გაგრძელდეს მანამდე, ვიდრე პროგნოზირებული გარიგება შედგება. როდესაც გარიგება შედგება, საწარმომ უნდა გამოიყენოს 97-ე, 98-ე ან მე-100 პუნქტები.
- გ) პროგნოზირებული გარიგების განხორციელება უკვე მოსალოდნელი აღარ არის მაღალი ალბათობით. ასეთ შემთხვევაში, ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებით დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში იმ პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც ჰეჯირება ეფექტური იყო (იხ. პუნქტი 95(ა)), საკუთარი კაპიტალიდან გადატანილ უნდა იქნეს მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირების თანხა. მაგრამ პროგნოზირებული გარიგება, რომლის განხორციელება მაღალი ალბათობით აღარ არის მოსალოდნელი (იხ. პუნქტი 88 (გ)), შესაძლებელია ჯერ კიდევ იყოს განხორციელებადი;
- დ) როდესაც საწარმო, საკუთარი შეხედულებისამებრ, აუქმებს ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიკაციას. პროგნოზირებული გარიგების ჰეჯირებისთვის, ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული ნებისმიერი დაგროვილი შემოსულობის ან ზარალის (რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში იმ პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც ჰეჯირება ეფექტური იყო) (იხ. პუნქტი 95(ა)) საკუთარ კაპიტალში ცალკე მუხლად აღიარება უნდა გაგრძელდეს მანამდე, ვიდრე პროგნოზირებული გარიგება შედგება ან მისი განხორციელება შეუძლებლად იქნება მიჩნეული. როდესაც გარიგება შედგება, საწარმომ უნდა გამოიყენოს 97-ე, 98-ე ან მე-100 პუნქტები. იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელი აღარ არის გარიგების განხორციელება, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული, დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი საკუთარი კაპიტალიდან საწარმომ უნდა გადაიტანოს მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირების თანხა.

ნეტო ინვესტიციის ჰეჯირება

102. უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციის ჰეჯირება, ფულადი მუხლის ჰეჯირების ჩათვლით, რომელიც მიიჩნევა ნეტო ინვესტიციის ნაწილად (იხ. ბასს 21), უნდა აღირიცხებოდეს ფულადი ნაკადების ჰეჯირების მსგავსად:

- ა) ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი, რომელიც განიხილება ეფექტურ ჰეჯირებად (იხ. 88-ე პუნქტი), უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში; და
- ბ) არაეფექტური ნაწილი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

უცხოური ქვედანაყოფის გასვლისას, ან ნაწილობრივ გასვლისას, ჰეჯირების ინსტრუმენტის შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია ჰეჯირების ეფექტურ ნაწილთან და აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, რეკლასიფიცირებულ უნდა იქნეს მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება (იხ. ბასს 1 (შესწორებული 2007 წელს)), ბასს 21-ის 48-49-ე პუნქტების შესაბამისად.

ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებული დროებითი გამონაკლისები

102ა. საწარმომ 102დ–102ო და 108ზ პუნქტები უნდა გამოიყენოს ჰეჯირების ყველა ისეთი ურთიერთობის მიმართ, რომელზეც პირდაპირ გავლენას ახდენს საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა. ზემოაღნიშნული პუნქტები მხოლოდ ჰეჯირების ამგვარ ურთიერთობებს ეხება. საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა ჰეჯირების ურთიერთობაზე პირდაპირ გავლენას მხოლოდ იმ შემთხვევაში ახდენს, თუ რეფორმის შედეგად განუსაზღვრელობა წარმოიშობა:

- ა) საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთთან მიმართებით (რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებით ან ხელშეკრულების გარეშე), რომელიც საწარმოს საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებული აქვს, როგორც ჰეჯირებული რისკი; ან/და
- ბ) ჰეჯირებულ მუხლთან ან ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული ისეთი ფულადი ნაკადების წარმოქმნის დროსა და ოდენობასთან მიმართებით, რომლებიც ეფუძნება საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთს.

102ბ. 102დ–102ო პუნქტების გამოყენების მიზნებისთვის ტერმინი „საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა“ ნიშნავს საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის ზარის ფართომასშტაბიან რეფორმას, მათ შორის საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის შეცვლას სხვა საორიენტაციო საბაზისო განაკვეთით, მაგალითად, განაკვეთით, რომელიც ეფუძნება ფინანსური სტაბილურობის საბჭოს 2014 წლის ივლისის ანგარიშში „ძირითადი საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთების რეფორმირება“ წარმოდგენილ რეკომენდაციებს.¹

102გ. 102დ–102ო პუნქტებში განხილულია მხოლოდ ამ პუნქტებში მითითებული მოთხოვნებიდან გამონაკლისი შემთხვევები. საწარმომ უნდა გააგრძელოს ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებული ყველა სხვა მოთხოვნის გამოყენება ჰეჯირების ნებისმიერი ურთიერთობის მიმართ, რომელზეც პირდაპირ გავლენას ახდენს საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა.

მოთხოვნა „მაღალი ალბათობის“ შესახებ ფულადი ნაკადების ჰეჯირების მიზნებისთვის

102დ. როდესაც საწარმო იყენებს 88(გ) პუნქტის მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ პროგნოზირებული გარიგება მაღალი ალბათობით უნდა იყოს მოსალოდნელი, მან უნდა იგულისხმოს, რომ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შედეგად არ იცვლება საორიენტაციო

1. ანგარიში „ძირითადი საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთების რეფორმირება“ (Reforming Major Interest Rate Benchmarks) განთავსებულია შემდეგ ვებგვერდზე http://www.fsb.org/wp-content/uploads/r_140722.pdf

საბაზისო საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ეფუძნება ჰეჯირებული ფულადი ნაკადები (განსაზღვრული ხელშეკრულებით ან ხელშეკრულების გარეშე).

სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობის ან ზარალის რეკლასიფიკაცია

102ე. როდესაც საწარმო 101(გ) პუნქტის მოთხოვნას იყენებს, რათა დაადგინოს, რომ პროგნოზირებული გარიგების განხორციელება უკვე მოსალოდნელი აღარ არის, მან უნდა იგულისხმოს, რომ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შედეგად არ იცვლება საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ეფუძნება ჰეჯირებული ფულადი ნაკადები (განსაზღვრული ხელშეკრულებით ან ხელშეკრულების გარეშე).

ეფექტურობის შეფასება

102ვ. 88(ბ) და მგ105 (ა) პუნქტების მოთხოვნების გამოყენების მიზნებისთვის საწარმომ უნდა იგულისხმოს, რომ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შედეგად არ იცვლება არც ის საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ეფუძნება ჰეჯირებული ფულადი ნაკადები ან/და ჰეჯირებული რისკი (განსაზღვრული ხელშეკრულებით ან ხელშეკრულების გარეშე) და არც ის საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ეფუძნება ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები.

102ზ. 88(ე) პუნქტის მოთხოვნის გამოყენების მიზნებისთვის, საწარმოს არ მოეთხოვება ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტა იმის გამო, რომ ჰეჯირების ფაქტობრივი შედეგები არ აკმაყოფილებს მგ105(ბ) პუნქტის მოთხოვნებს. ეჭვის გასაქარწყლებლად, საწარმომ უნდა გამოიყენოს 88-ე პუნქტის სხვა პირობები, მათ შორის პერსპექტიული შეფასება, რომელსაც ითვალისწინებს 88(ბ) პუნქტი, რათა შეაფასოს, უნდა შეწყდეს თუ არა ჰეჯირების ურთიერთობა.

ფინანსური მუხლების საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირება ჰეჯირებულ მუხლად

102თ. თუ არ გამოიყენება 102ი პუნქტი, სხვა შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთის რისკის ისეთი ნაწილის ჰეჯირებისას, რომელიც განეკუთვნება საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთს, რომელიც ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული, საწარმომ მხოლოდ ჰეჯირების ურთიერთობის დაწყებისას უნდა გამოიყენოს 81-ე და მგ99 პუნქტების მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ჰეჯირებისთვის განსაზღვრული რისკის ნაწილი უნდა იყოს განცალკევებით იდენტიფიცირებადი.

102ი. თუ საწარმო, ჰეჯირების დოკუმენტაციის შესაბამისად, ხშირად განაახლებს ჰეჯირების ურთიერთობას (ე.ი. წყვეტს და ხელახლა იწყებს) იმის გამო, რომ ხშირად იცვლება როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი, ისე ჰეჯირებული მუხლი (ე.ი. საწარმო იყენებს დინამიკურ პროცესს, რომლის ფარგლებში დიდ ხანს არ რჩება ერთი და იგივე რისკის პოზიციის მართვისთვის გამოყენებული არც ჰეჯირებული მუხლები და არც ჰეჯირების ინსტრუმენტები), მან 81-ე და მგ99 პუნქტების მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ჰეჯირებისთვის განსაზღვრული რისკის ნაწილი უნდა იყოს განცალკევებით იდენტიფიცირებადი, მხოლოდ იმ მომენტში უნდა გამოიყენოს, როდესაც თავდაპირველად მიანიჭებს ამა თუ იმ მუხლს ჰეჯირებული მუხლის კლასიფიკაციას, საკუთარი შეხედულებისამებრ, ამ ჰეჯირების ურთიერთობაში. ჰეჯირებული მუხლი, რომელიც მოცემულ ჰეჯირების ურთიერთობაში საწარმომ შეაფასა თავდაპირველად საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებისას, განურჩევლად იმისა, ჰეჯირების დაწყებისას მოხდა ეს თუ მოგვიანებით, იმავე ჰეჯირების ურთიერთობაში ხელახლა არ შეფასდება არცერთი შემდგომი განმეორებითი საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებისას.

გამოყენების დასრულება

102კ. საწარმომ პერსპექტიულად უნდა შეწყვიტოს 102დ პუნქტის გამოყენება ჰეჯირებული მუხლის მიმართ, შემდეგი ორი მოვლენიდან უფრო ადრეულის დადგომისას:

- ა) როდესაც აღარ არსებობს საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შედეგად წარმოქმნილი განუსაზღვრელობა, რომელიც დაკავშირებულია ჰეჯირებული მუხლის ისეთი ფულადი ნაკადების წარმოქმნის დროსა და ოდენობასთან, რომლებიც ეფუძნება საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთს; და

- ბ) როდესაც წყდება ჰეჯირების ურთიერთობა, რომლის ნაწილიც არის მოცემული ჰეჯირებული მუხლი.
- 102ლ. საწარმომ პერსპექტიულად უნდა შეწყვიტოს 102ე პუნქტის გამოყენება შემდეგი ორი მოვლენიდან უფრო ადრეულის დადგომისას:
- ა) როდესაც აღარ არსებობს საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შედეგად წარმოქმნილი განუსაზღვრელობა, რომელიც დაკავშირებულია ჰეჯირებული მუხლის ისეთი მომავალი ფულადი ნაკადების წარმოქმნის დროსა და ოდენობასთან, რომლებიც ეფუძნება საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთს; და
 - ბ) როდესაც ამ შეწყვეტილ ჰეჯირების ურთიერთობასთან დაკავშირებული მთლიანი დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, რეკლასიფიცირდა მოგებაში ან ზარალში.
- 102მ. საწარმომ პერსპექტიულად უნდა შეწყვიტოს 102ვ პუნქტის გამოყენება:
- ა) ჰეჯირებული მუხლის მიმართ მაშინ, როდესაც აღარ არსებობს საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შედეგად წარმოქმნილი განუსაზღვრელობა, რომელიც დაკავშირებულია ჰეჯირებულ რისკთან ან ჰეჯირებული მუხლის ისეთი ფულადი ნაკადების წარმოქმნის დროსა და ოდენობასთან, რომლებიც ეფუძნება საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთს; და
 - ბ) ჰეჯირების ინსტრუმენტის მიმართ მაშინ, როდესაც წყვეტს არსებობას საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შედეგად წარმოქმნილი განუსაზღვრელობა, რომელიც დაკავშირებულია ჰეჯირების ინსტრუმენტის ისეთი ფულადი ნაკადების წარმოქმნის დროსა და ოდენობასთან, რომლებიც ეფუძნება საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთს.
- თუ 102 მ(ა) ან 102 მ(ბ) პუნქტში მითითებულ თარიღზე უფრო ადრე წყდება ჰეჯირების ურთიერთობა, რომლის ნაწილიც არის მოცემული ჰეჯირებული მუხლი და ჰეჯირების ინსტრუმენტი, საწარმომ პერსპექტიულად უნდა შეწყვიტოს 102ვ პუნქტის გამოყენება ჰეჯირების ამ ურთიერთობის მიმართ, მისი შეწყვეტის თარიღისთვის.
- 102ნ. საწარმომ პერსპექტიულად უნდა შეწყვიტოს 102ზ პუნქტის გამოყენება ჰეჯირების ურთიერთობის მიმართ შემდეგი ორი მოვლენიდან უფრო ადრეულის დადგომისას:
- ა) როდესაც წყვეტს არსებობას საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შედეგად წარმოქმნილი განუსაზღვრელობა, რომელიც დაკავშირებულია ჰეჯირებულ რისკთან და ჰეჯირებული მუხლისა და ჰეჯირების ინსტრუმენტის ისეთი ფულადი ნაკადების წარმოქმნის დროსა და ოდენობასთან, რომლებიც ეფუძნება საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთს; და
 - ბ) როდესაც შეწყდება ჰეჯირების ურთიერთობა, რომლის მიმართაც გამოიყენებოდა გამონაკლისი.
- 102ო. თუ საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირებული აქვს მუხლების ჯგუფი, ან ფინანსური ინსტრუმენტების გარკვეული ერთობლიობა – ჰეჯირებულ ინსტრუმენტად, მან პერსპექტიულად უნდა შეწყვიტოს 102დ–102ზ პუნქტების გამოყენება ცალკეული მუხლის ან ფინანსური ინსტრუმენტის მიმართ 102კ, 102ლ, 102მ, ან 102ნ პუნქტის შესაბამისად, საჭიროებისამებრ, იმ მომენტში, როდესაც აღარ არსებობს საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შედეგად წარმოქმნილი განუსაზღვრელობა, რომელიც დაკავშირებულია ჰეჯირებულ რისკთან ან/და ამ მუხლის ან ფინანსური ინსტრუმენტის ისეთი ფულადი ნაკადების წარმოქმნის დროსა და ოდენობასთან, რომლებიც ეფუძნება საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთს.
- 102პ. საწარმომ პერსპექტიულად უნდა შეწყვიტოს 102თ და 102ი პუნქტების გამოყენება შემდეგი ორი მოვლენიდან უფრო ადრეულის დადგომისას:
- ა) როდესაც საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმით მოთხოვნილი ცვლილებები განხორციელდა ხელშეკრულების გარეშე განსაზღვრული რისკის ნაწილის მიმართ 102ჟ პუნქტის გამოყენებით; ან

- ბ) როდესაც წყდება ჰეჯირების ურთიერთობა, რომელშიც ხელშეკრულების გარეშე განსაზღვრული რისკის ნაწილი საწარმოს საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებული აქვს ჰეჯირებულად.

საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმით გამოწვეული დამატებითი დროებითი გამოწვევები

ჰეჯირების აღრიცხვა

- 102ჟ. იმ მომენტიდან, როდესაც 102დ–102ი პუნქტების მოთხოვნები აღარ ეხება ჰეჯირების ურთიერთობას (იხ. პუნქტები 102კ–102პ), საწარმომ უნდა შეცვალოს ამ ჰეჯირების ურთიერთობისთვის საკუთარი შეხედულებისამებრ წინათ მინიჭებული და დოკუმენტირებული ფორმალური კლასიფიკაცია, რათა აისახოს საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმით მოთხოვნილი ცვლილებები, ე.ი. ცვლილებები შეესაბამება ფასს 9-ის 5.4.6–5.4.8 პუნქტების მოთხოვნებს. ამ კონტექსტში, საწარმომ ჰეჯირებისთვის საკუთარი შეხედულებისამებრ მინიჭებული კლასიფიკაცია უნდა შეცვალოს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე შემდეგი ცვლილების განსახორციელებლად:
 - ა) ალტერნატიული საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის (რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებით ან ხელშეკრულების გარეშე) საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირება ჰეჯირებულ რისკად;
 - ბ) ჰეჯირებული მუხლის აღწერის შეცვლა, მათ შორის ფულადი ნაკადების ან სამართლიანი ღირებულების იმ ნაწილის აღწერის შეცვლა, რომელიც საწარმოს საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებული აქვს ჰეჯირებულად;
 - გ) ჰეჯირების ინსტრუმენტის აღწერის შეცვლა; ან
 - დ) იმ ტექსტის შეცვლა, სადაც აღწერილია, როგორ შეაფასებს საწარმო ჰეჯირების ეფექტურობას.
- 102რ. საწარმომ ასევე უნდა გამოიყენოს 102ჟ (გ) პუნქტის მოთხოვნაც, თუ სამივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:
 - ა) საწარმო საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმით მოთხოვნილ ცვლილებას ახორციელებს ნებისმიერი ისეთი მიდგომის გამოყენებით, რომელიც არ იწვევს ჰეჯირების ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საბაზისო განაკვეთის ცვლილებას (როგორც აღწერილია ფასს 9-ის 5.4.6 პუნქტში);
 - ბ) თავდაპირველი ჰეჯირების ინსტრუმენტის აღიარება არ შეწყვეტილა; და
 - გ) შერჩეული მიდგომა ეკონომიკურად თავდაპირველი ჰეჯირების ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საბაზისო განაკვეთის ცვლილების ეკვივალენტურია (როგორც აღწერილია ფასს 9-ის 5.4.7 და 5.4.8 პუნქტებში).
- 102ს. 102დ–102ი პუნქტების მოთხოვნების გამოყენება შეიძლება შეწყდეს სხვადასხვა დროს. ამგვარად, 102ჟ პუნქტის გამოყენებისას, საწარმოს ჰეჯირების ურთიერთობებისთვის საკუთარი შეხედულებისამებრ მინიჭებული ფორმალური კლასიფიკაციის შეცვლა შეიძლება მოეთხოვებოდეს სხვადასხვა დროს ან ერთ ჯერზე მეტჯერ. მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს ამგვარი ცვლილება შეაქვს საკუთარი შეხედულებისამებრ მინიჭებულ ჰეჯირების კლასიფიკაციაში, მან უნდა გამოიყენოს 102ჟ–102მ პუნქტები, საჭიროებისამებრ. გარდა ამისა, საწარმომ უნდა გამოიყენოს 89-ე პუნქტი (სამართლიანი ღირებულების ჰეჯირებასთან მიმართებით) ან 96-ე პუნქტი (ფულადი ნაკადების ჰეჯირებასთან მიმართებით), რათა აისახოს ჰეჯირებული მუხლის ან ჰეჯირების ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები.
- 102ტ. საწარმომ 102ჟ პუნქტის შესაბამისად იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეცვალოს ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიკაცია, რომლის განმავლობაშიც განხორციელდა საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმით მოთხოვნილი ცვლილება ჰეჯირებული რისკის, ჰეჯირებული მუხლის ან ჰეჯირების ინსტრუმენტის მიმართ. ეჭვის გასაქარწყლებლად, ჰეჯირების ურთიერთობის ფორმალური კლასიფიკაციის ამგვარად შეცვლა არ წარმოადგენს

არც ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტას, არც ჰეჯირების ახალი ურთიერთობის კლასიფიცირებას.

- 102უ. თუ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმით მოთხოვნილი ცვლილებების გარდა დამატებით სხვა ცვლილებებიც განხორციელდა ისეთი ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მიმართ, რომელიც საწარმოს საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებული ჰქონდა ამა თუ იმ ჰეჯირების ურთიერთობაში (როგორც აღწერილია ფასს 9-ის 5.4.6–5.4.8 პუნქტებში) ან ჰეჯირების ურთიერთობისთვის საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებაში (როგორც მოითხოვება 102ჟ პუნქტით), საწარმომ, პირველ რიგში, უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტის შესაფერისი მოთხოვნები იმის დასადგენად, ზემოაღნიშნული დამატებითი ცვლილებები იწვევს თუ არა ჰეჯირების აღრიცხვის შეწყვეტას. თუ ეს დამატებითი ცვლილებები არ იწვევს ჰეჯირების აღრიცხვის შეწყვეტას, საწარმომ უნდა შეცვალოს ჰეჯირების ურთიერთობისთვის მინიჭებული ფორმალური კლასიფიკაცია, როგორც მითითებულია 102ჟ პუნქტში.
- 102ფ. 102ქ–102წ პუნქტები გამონაკლისებს ითვალისწინებს მხოლოდ ამ პუნქტებში მითითებული მოთხოვნებისთვის. ჰეჯირების ისეთი ურთიერთობების მიმართ, რომლებზეც პირდაპირი გავლენა მოახდინა საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმამ, საწარმომ უნდა გამოიყენოს მოცემული სტანდარტის ყველა სხვა მოთხოვნა, რომლებიც დაკავშირებულია ჰეჯირების აღრიცხვასთან, მათ შორის 88-ე პუნქტში აღწერილი ჰეჯირების აღრიცხვის საკვალიფიკაციო კრიტერიუმები.

აღრიცხვა ჰეჯირების ურთიერთობების, რომლებიც აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს

რეტროსპექტული ეფექტურობის შეფასება

- 102ქ. მხოლოდ ჰეჯირების ურთიერთობის რეტროსპექტული ეფექტურობის კუმულაციურად შეფასების მიზნებისთვის 88(ე) პუნქტის გამოყენებით, საწარმოს შეუძლია აირჩიოს, რომ გაანულოს ჰეჯირებული მუხლისა და ჰეჯირების ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულებების კუმულაციური ცვლილებები, როდესაც შეწყვეტს 102ზ პუნქტის გამოყენებას 102წ მუხლის მოთხოვნის შესაბამისად. ეს გადაწყვეტილება საწარმომ ცალ-ცალკე უნდა მიიღოს ჰეჯირების თითოეული ურთიერთობის შესახებ (ე.ი. ჰეჯირების ინდივიდუალური ურთიერთობის საფუძველზე).

ფულადი ნაკადების ჰეჯირება

- 102დ. 97-ე პუნქტის გამოყენების მიზნებისთვის, იმ მომენტში როდესაც საწარმო ცვლის ჰეჯირების მუხლის აღწერას 102ჟ (ბ) პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, მან უნდა მიიჩნიოს, რომ სხვა სრულ შემოსავალში დაგროვილი შემოსულობის ან ზარალის თანხა ეფუძნება ალტერნატიულ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ჰეჯირებული მომავალი ფულადი ნაკადები.
- 102ყ. შეწყვეტილი ჰეჯირების ურთიერთობის შემთხვევაში, როდესაც საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად იცვლება საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ჰეჯირებული მომავალი ფულადი ნაკადები ეფუძნებოდა, იმისათვის, რომ 101(გ) პუნქტის გამოყენების მიზნებისთვის საწარმომ განსაზღვროს, მოსალოდნელია თუ არა მომავალი ჰეჯირებული ფულადი ნაკადების წარმოშობა, მან უნდა მიიჩნიოს, რომ ამ ჰეჯირების ურთიერთობასთან დაკავშირებით სხვა სრულ შემოსავალში დაგროვილი თანხა ეფუძნება ალტერნატიულ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთს, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება ჰეჯირებული მომავალი ფულადი ნაკადები.

მუხლების ჯგუფები

- 102შ. როდესაც საწარმო 102ჟ პუნქტს იყენებს ისეთი მუხლების ჯგუფების მიმართ, რომლებიც საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებული აქვს ჰეჯირებულ მუხლებად სამართლიანი ღირებულების ან ფულადი ნაკადების ჰეჯირებაში, მან ეს ჰეჯირებული მუხლები უნდა დაყოს ქვეჯგუფებად ჰეჯირებისთვის გამიზნული საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთების საფუძველზე და ჰეჯირებული რისკის კლასიფიკაცია საკუთარი შეხედულებისამებრ

მიანიჭოს თითოეული ქვეჯგუფის საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთს. მაგალითად, ჰეჯირების ისეთ ურთიერთობაში, სადაც მუხლების ჯგუფის ჰეჯირება ხდება იმ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებისთვის, რომელზეც გავლენას ახდენს საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა, ჰეჯირებული ფულადი ნაკადები ან ჯგუფში შემავალი ზოგიერთი მუხლის სამართლიანი ღირებულება შეიძლება შეიცვალოს ალტერნატიული საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის ასახვის მითითებით მანამ, სანამ ჯგუფის სხვა მუხლები შეიცვლება. ამ მაგალითში, 102ჟ პუნქტის გამოყენებისას საწარმომ ალტერნატიულ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთს საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა მიანიჭოს ჰეჯირებული რისკის კლასიფიკაცია ჰეჯირებული მუხლების შესაფერისი ქვეჯგუფისთვის. საწარმომ ჰეჯირებული მუხლების სხვა ქვეჯგუფისთვის უნდა გააგრძელოს არსებული საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის კლასიფიცირება ჰეჯირებულ რისკად მანამ, სანამ ჰეჯირებული ფულადი ნაკადები ან ამ მუხლების სამართლიანი ღირებულება არ შეიცვლება საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის ასახვის მითითებით, ან ამ მუხლებს ვადა არ გაუვა და არ ჩანაცვლდება ისეთი ჰეჯირებული მუხლებით, რომელთაც ეხება ალტერნატიული საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთი.

- 102ჩ. საწარმომ ცალ-ცალკე უნდა შეაფასოს, თითოეული ქვეჯგუფი აკმაყოფილებს თუ არა 78-ე და 83-ე პუნქტების მოთხოვნებს იმისთვის, რომ დასაშვები იყოს მისი კლასიფიცირება ჰეჯირებულ მუხლად. თუ რომელიმე ქვეჯგუფი არ აკმაყოფილებს 78-ე და 83-ე პუნქტების მოთხოვნებს, საწარმომ პერსპექტიულად უნდა შეწყვიტოს ჰეჯირების აღრიცხვა მთლიანი ჰეჯირების ურთიერთობის. გარდა ამისა, საწარმომ უნდა გამოიყენოს 89-ე ან 96-ე პუნქტების მოთხოვნები, რათა ასახოს მთელ ამ ჰეჯირების ურთიერთობასთან დაკავშირებული არაეფექტურობა.

ფინანსური მუხლების ჰეჯირებულ მუხლებად კლასიფიცირება საკუთარი შეხედულებისამებრ

- 102ც. ალტერნატიული საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც საწარმოს საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებული აქვს ხელშეკრულების გარეშე განსაზღვრულ რისკის ნაწილად, რომელიც არ არის განცალკევებით იდენტიფიცირებადი (იხ. 81-ე და მგ99 პუნქტები) კლასიფიცირების თარიღისთვის, საწარმომ მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიიჩნიოს, რომ იგი აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ მოთხოვნას ამ თარიღისთვის, თუ იგი დასაბუთებულად მოელის, რომ ალტერნატიული საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთი განცალკევებით იდენტიფიცირებადი გახდება 24 თვეში. 24-თვიანი პერიოდი ცალ-ცალკე გამოიყენება თითოეული ალტერნატიული საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის მიმართ და იწყება იმ თარიღიდან, როდესაც საწარმო ალტერნატიულ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთს საკუთარი შეხედულებისამებრ პირველად მიანიჭებს ხელშეკრულების გარეშე განსაზღვრული რისკის ნაწილის კლასიფიკაციას (ე.ი. 24-თვიანი პერიოდი ცალ-ცალკე განიხილება თითოეული საპროცენტო განაკვეთისთვის).
- 102ძ. თუ შემდგომში საწარმო, უკვე დასაბუთებულად მოელის, რომ ალტერნატიული საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთი არ იქნება განცალკევებით იდენტიფიცირებადი 24 თვეში იმ თარიღიდან, როდესაც მან ალტერნატიულ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთს საკუთარი შეხედულებისამებრ პირველად მიანიჭა ხელშეკრულების გარეშე განსაზღვრული რისკის ნაწილის კლასიფიკაცია, საწარმომ უნდა შეწყვიტოს 102ც პუნქტის მოთხოვნების გამოყენება ამ ალტერნატიული საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის მიმართ და ზემოაღნიშნული ხელახალი შეფასების თარიღიდან პერსპექტიულად შეწყვიტოს ჰეჯირების აღრიცხვა ჰეჯირების ყველა ურთიერთობის, რომელშიც ალტერნატიული საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთი საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებული ჰქონდა ხელშეკრულების გარეშე განსაზღვრულ რისკის ნაწილად.
- 102წ. 102ჟ პუნქტში მითითებული ჰეჯირების ურთიერთობების გარდა, საწარმომ 102ც და 102ძ პუნქტების მოთხოვნები უნდა გამოიყენოს ჰეჯირების ახალი ურთიერთობის მიმართაც, რომელშიც ალტერნატიული საორიენტაციო საბაზისო განაკვეთი საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებული აქვს ხელშეკრულების გარეშე განსაზღვრულ რისკის ნაწილად (იხ. 81-ე და მგ99 პუნქტები), თუ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმის

გამო, რისკის ეს ნაწილი არ იყო განცალკევებით იდენტიფიცირებადი კლასიფიკაციის მინიჭების თარიღისთვის.

ძალაში შესვლის თარიღი და სტანდარტზე გადასვლა

103. საწარმომ ეს სტანდარტი (2004 წლის მარტში შეტანილი შესწორებების ჩათვლით) უნდა გამოიყენოს 2005 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. საწარმომ ამ სტანდარტს (2004 წლის მარტში შეტანილი შესწორებების ჩათვლით) არ უნდა მიმართოს წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2005 წლის 1 იანვრამდე, თუ იგი იყენებს ბასს 32-ს (გამოცემული 2003 წლის დეკემბერში). თუ საწარმო ამ სტანდარტს იყენებს 2005 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდებისათვის, მან მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- 103ა. [გაუქმებულია]
- 103ბ. [გაუქმებულია]
- 103გ. ბასს 1-მა - „*ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*“ (შესწორებული 2007 წელს) - შეცვალა ფასს სტანდარტებში გამოყენებული ტერმინოლოგია. გარდა ამისა, გამოიწვია 95(ა), 97-ე, 98-ე, მე-100, 102-ე, 108-ე და მგ99ბ პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ბასს 1-ს (შესწორებული 2007 წელს), ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებებიც.
- 103დ. [გაუქმებულია]
- 103ე. ბასს 27-მა (შესწორებული 2008 წელს) განაპირობა 102-ე პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 ივლისს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ბასს 27-ს (შესწორებული 2008 წელს), ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებებიც.
- 103ვ. [გაუქმებულია]
- 103ზ. საწარმომ მგ99ბა, მგ99ე, მგ99ვ, მგ110ა და მგ110ბ პუნქტებში შეტანილი ცვლილებები უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ბასს 8-ის - „*სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*“. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო 2009 წლის 1 ივლისამდე დაწყებული პერიოდებისთვის გამოიყენებს დოკუმენტს „*კონკრეტულ სიტუაციებში ჰეჯირებადი მუხლები*“ (ბასს 39-ის შესწორებები), მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- 103თ-
103კ. [გაუქმებულია]
- 103ლ. 2009 წლის აპრილში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*ფასს სტანდარტების გაუმჯობესება*“ - გამოიწვია 2(ზ), 97-ე და მე-100 პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს პერსპექტიულად ყველა ხელშეკრულებისთვის, რომელსაც ვადა არ გასვლია, 2010 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებში. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო უფრო ადრე გამოიყენებს ამ ცვლილებებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- 103მ-
103ჟ. [გაუქმებულია]
- 103რ. 2011 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 13-მა - გამოიწვია მე-9, მე-13, 28-ე, 47-ე, 88-ე, მგ46, მგ52, მგ64, მგ76, მგ76ა, მგ80, მგ81 და მგ96 პუნქტების შეცვლა, 34ა პუნქტის დამატება და 48-49-ე, მგ69-მგ75, მგ77-მგ79 და მგ82 პუნქტების გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 13-ს

- 103ს. 2012 წლის ოქტომბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - „საინვესტიციო საწარმოები“ (ფასს 10-ის, ფასს 12-ისა და ბასს 27-ის შესწორებები) - გამოიწვია მე-2 და მე-80 პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2014 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია დოკუმენტის - „საინვესტიციო საწარმოები“ - ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან იმავდროულად უნდა გამოიყენოს ყველა ცვლილება, რომელსაც ითვალისწინებს დოკუმენტი - „საინვესტიციო საწარმოები“.
- 103ტ. [გაუქმებულია]
- 103უ. 2014 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 15-მა - „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ - გამოიწვია მე-2, მე-9, 43-ე, 47-ე, 55-ე, მგ2, მგ4 და მგ48 პუნქტების შეცვლა და 2ა, 44ა, 55ა და მგ8ა-მგ8გ პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს მაშინ, როდესაც გამოიყენებს ფასს 15-ს.
- 103ფ. 2014 წლის ივლისში გამოცემულმა ფასს 9-მ გამოიწვია მე-2, მე-8, მე-9, 71-ე, 88-90-ე, 96-ე, მგ95, მგ114, მგ118 პუნქტებისა და მგ133 პუნქტის ზემოთ სათაურის შეცვლა და 1-ლი, მე-4-7, 10-70-ე, 79-ე, 103ბ, 103დ, 103ვ, 103თ-103კ, 103მ-103ჟ, 103ტ, 105-107ა, 108ე-108ვ, მგ1-მგ93 და მგ96 პუნქტების გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს მაშინ, როდესაც გამოიყენებს ფასს 9-ს.
- 103ქ. [ეს პუნქტი დაემატა იმ საწარმოთათვის, რომლებსაც არ დაუწყიათ ფასს 9-ის გამოყენება.]
104. ეს სტანდარტი საწარმომ უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად, გარდა 108-ე პუნქტში განსაზღვრული შემთხვევისა. ყველაზე ადრეული წინა წარდგენილი პერიოდის გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი და ყველა სხვა შესადარისი თანხა უნდა გაკორექტირდეს ისე, თითქოს აღნიშნული სტანდარტი ყოველთვის გამოიყენებოდა, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ინფორმაციის გადაანგარიშება შეუძლებელი იქნება. თუ ინფორმაციის გადაანგარიშება შეუძლებელია, საწარმომ ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს განმარტებით შენიშვნებში და მიუთითოს, რა დონეზე იყო ინფორმაცია გადაანგარიშებული.
- 105- [გაუქმებულია]
- 107ა.
108. საწარმომ არ უნდა გააკორექტიროს არაფინანსური აქტივებისა და არაფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება იმისათვის, რომ გამორიცხოს ფულადი ნაკადების ჰეჯირებასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი, რომლებიც შესული იყო საბალანსო ღირებულებაში იმ ფინანსური წლის დაწყებამდე, როდესაც მოცემული სტანდარტი პირველად იქნა გამოყენებული. იმ ფინანსური პერიოდის დასაწყისში, როდესაც მოცემული სტანდარტი პირველად გამოიყენა საწარმომ, მყარი დაპირების (ვალდებულების) ჰეჯირებასთან დაკავშირებით მოგების ან ზარალის გარეთ (სხვა სრულ შემოსავალში, ან პირდაპირ საკუთარ კაპიტალში) აღიარებული ნებისმიერი თანხა, რომელიც, ამ სტანდარტის შესაბამისად აისახება, როგორც სამართლიანი ღირებულების ჰეჯირება, რეკლასიფიცირებულ უნდა იქნეს, როგორც აქტივი ან ვალდებულება. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სავალუტო რისკის ჰეჯირება, რომელიც ისევე აისახება, როგორც ფულადი ნაკადების ჰეჯირება.
- 108ა. საწარმომ მე-80 პუნქტის ბოლო წინადადება და მგ99ა და მგ99ბ პუნქტები უნდა გამოიყენოს წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2006 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ. რეკომენდებულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმოს ჰეჯირებულ მუხლად აქვს კლასიფიცირებული გარე პროგნოზირებული გარიგება, რომელიც:
- ა) გამოსახულია გარიგებაში მონაწილე საწარმოს სამუშაო ვალუტით;
 - ბ) წარმოშობს რისკის ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ მოგებაზე ან ზარალზე (ე.ი. ისეთ ვალუტაშია გამოსახული, რომელიც არ არის ჯგუფის წარსადგენი ვალუტა); და
 - გ) დააკმაყოფილებდა ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს, თუ გამოსახული არ იქნებოდა გარიგებაში მონაწილე საწარმოს სამუშაო ვალუტით.

- უფლება აქვს, ჰეჯირების აღრიცხვა გამოიყენოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდ(ებ)ში, რომელიც წინ უსწრებს მე-80 პუნქტის ბოლო წინადადებისა და მგ99ა და მგ99ბ პუნქტების გამოყენების თარიღს.
- 108ბ. საწარმო ვალდებული არ არის, მგ99ბ პუნქტი გამოიყენოს შესადარის ინფორმაციასთან მიმართებით, რომელიც განეკუთვნება მე-80 პუნქტის ბოლო წინადადებისა და მგ99ა პუნქტის გამოყენების თარიღებამდე საანგარიშგებო პერიოდებს.
- 108გ. 2008 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა - „ფასს სტანდარტების გაუმჯობესება“ - გამოიწვია 73-ე და მგ8 პუნქტების შეცვლა. მე-80 პუნქტი შეიცვალა 2009 წლის აპრილში გამოცემული დოკუმენტის - „ფასს სტანდარტების გაუმჯობესება“ - შესაბამისად. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნებისმიერი ცვლილების ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ზემოაღნიშნულ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- 108დ. 2013 წლის ივნისში გამოცემულმა დოკუმენტმა - „წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ნოვაცია და ჰეჯირების აღრიცხვის გაგრძელება“ (ბასს 39-ის შესწორებები) (გამოცემული 2013 წლის ივნისში) გამოიწვია 91-ე და 101-ე პუნქტების შეცვლა და მგ113ა პუნქტის დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2014 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. საწარმომ ეს ცვლილებები რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს ბასს 8-ის - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ - შესაბამისად. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- 108ე.
- 108ვ. [გაუქმებულია]
- 108ზ. 2019 წლის სექტემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - „საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა“, რომელმაც გამოიწვია ფასს 9-ის, ბასს 39-ისა და ფასს 7-ის ცვლილება, განაპირობა 102ა-102ო პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში. საწარმომ მოცემული ცვლილებები უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად ჰეჯირების ისეთ ურთიერთობებთან მიმართებით, რომლებიც უკვე არსებობდა იმ საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, როდესაც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებებს, ან რომელთა კლასიფიცირება ჰეჯირების ურთიერთობად საწარმომ საკუთარი შეხედულებისამებრ განახორციელა ამ თარიღის შემდეგ, ასევე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობის ან ზარალის მიმართ, რომელიც არსებობდა იმ საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, როდესაც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებებს.
- 108თ. 2020 წლის აგვისტოში გამოცემულმა დოკუმენტმა „საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა – მე-2 ეტაპი“, რომელმაც გამოიწვია ფასს 9-ის, ბასს 39-ის, ფასს 7-ის, ფასს 4-ისა და ფასს 16-ის შეცვლა, განაპირობა 102პ-102წ პუნქტებისა და 108ი-108ლ პუნქტების დამატება და 102ნ პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2021 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებულ წლიურ საანგარიშგებო პერიოდებში. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი. საწარმომ ეს ცვლილებები რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს ბასს 8-ის შესაბამისად, გარდა 108ი-108ლ პუნქტებში მითითებული შემთხვევებისა.
- 108ი. საწარმომ ახალ ჰეჯირების ურთიერთობას მხოლოდ პერსპექტიულად უნდა მიანიჭოს კლასიფიკაცია (მაგალითად, როგორც აღწერილია 102წ პუნქტში) საკუთარი შეხედულებისამებრ (ე.ი. საწარმოს ეკრძალება ახალი ჰეჯირების ურთიერთობის აღრიცხვის კლასიფიცირება წინა პერი-

ოდებში). ამასთან, საწარმომ მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა განაახლოს შეწყვეტილი ჰეჯირების ურთიერთობა, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ა) საწარმომ, რომელმაც ჰეჯირების ურთიერთობა შეწყვიტა მხოლოდ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმით მოთხოვნილი ცვლილებების გამო და მას არ მოეთხოვებოდა ამ ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტა იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნულ ცვლილებებს იმ დროს გამოიყენებდა; და
- ბ) იმ საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, რომელშიც საწარმო პირველად იყენებს ზემოაღნიშნულ ცვლილებებს (ამ ცვლილებების თავდაპირველი გამოყენების თარიღი), ეს შეწყვეტილი ჰეჯირების ურთიერთობა აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს (ამ ცვლილებების გათვალისწინების შემდეგ).

108კ. თუ 108ი პუნქტის გამოყენებისას საწარმო განაახლებს შეწყვეტილ ჰეჯირების ურთიერთობას, მან 102ც და 102ძ პუნქტებში, იქ სადაც მითითებულია თარიღი, როდესაც საწარმომ ალტერნატიულ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთს საკუთარი შეხედულებისამებრ პირველად მიანიჭა ხელშეკრულების გარეშე განსაზღვრული რისკის ნაწილის კლასიფიკაცია უნდა იგულისხმოს ზემოაღნიშნული ცვლილებების თავდაპირველი გამოყენების თარიღი (ე.ი. იმ ალტერნატიული საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთისთვის, რომელსაც საწარმომ საკუთარი შეხედულებისამებრ მიანიჭა ხელშეკრულების გარეშე განსაზღვრული რისკის ნაწილის კლასიფიკაცია, 24-თვიანი პერიოდი იწყება ზემოაღნიშნული ცვლილებების თავდაპირველი გამოყენების თარიღიდან).

108ლ. საწარმოს არ მოეთხოვება წინა პერიოდების მონაცემების გადაანგარიშება ამ ცვლილებების გამოყენების ასახვისთვის. საწარმოს წინა პერიოდების მონაცემების გადაანგარიშება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ამის გაკეთება შესაძლებელია წინა პერიოდის შემდგომ ინფორმაციაზე დაყრდნობის გარეშე. თუ საწარმო არ გადაიანგარიშებს წინა პერიოდების მონაცემებს, მან გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში (ან საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტში, საჭიროებისამებრ) უნდა აღიაროს სხვაობა ადრინდელ საბალანსო ღირებულებასა და იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის არსებულ საბალანსო ღირებულებას შორის, რომელსაც განეკუთვნება ზემოაღნიშნული ცვლილებების თავდაპირველი გამოყენების თარიღი.

სხვა ოფიციალური დოკუმენტების გაუქმება

- 109. წინამდებარე სტანდარტი ცვლის 2000 წლის ოქტომბერში შესწორებულ ბასს 39-ს - „*ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*“.
- 110. მოცემული სტანდარტი და თანდართული „*დანერგვის მითითებები*“ ცვლის ყოფილი ბასსკ-ის მიერ დამტკიცებულ, ბასს 39-ის დანერგვის კომიტეტის მიერ გამოცემულ დანერგვის მითითებებს.

დანართი ა მითითებები გამოყენებაზე

წინამდებარე დანართი ამ სტანდარტის განყოფილი ნაწილია.

მგ1-

მგ93. [გაუქმებულია]

ჰეჯირება (პუნქტები 71-102-ე)

ჰეჯირების ინსტრუმენტები (პუნქტები 72-77-ე)

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს (პუნქტები 72 და 73-ე)

მგ94. საწარმოს მიერ გაყიდულ (გამოშვებულ) ოფციონთან დაკავშირებული პოტენციური ზარალი შეიძლება მნიშვნელოვნად დიდი იყოს შესაბამის ჰეჯირებულ მუხლთან დაკავშირებულ პოტენციურ შემოსულობასთან შედარებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაყიდული ოფციონი ეფექტური არ არის ჰეჯირებული მუხლის მოგების ან ზარალის ცვლილების რისკის შესამცირებლად. ამიტომ, გაყიდული ოფციონი ვერ დააკმაყოფილებს ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირების კრიტერიუმებს, ისეთი შემთხვევების გარდა, როდესაც იგი საწარმოს მიერ განსაზღვრულია შესყიდული ოფციონის გადამფარავ ოფციონად, მათ შორის, იმ ოფციონის, რომელიც ჩართულია სხვა ფინანსურ ინსტრუმენტში (მაგალითად, გაყიდული ქოლოფციონი, რომელიც გამოიყენება ვადაზე ადრე დაფარვის უფლების მქონე ვალდებულების ჰეჯირებისთვის). და პირიქით, შესყიდულ ოფციონს აქვს ზარალის ტოლი ან მასზე დიდი პოტენციური შემოსულობა და, მაშასადამე, გააჩნია იმის შესაძლებლობა, რომ შეამციროს მოგების ან ზარალის ცვლილების რისკი, რომელიც დაკავშირებულია სამართლიანი ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილებებთან. ამგვარად, მან შეიძლება დააკმაყოფილოს ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირების კრიტერიუმები.

მგ95. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი საკუთარი შეხედულებისამებრ შეიძლება კლასიფიცირდეს ჰეჯირების ინსტრუმენტად, სავალუტო რისკის ჰეჯირების დროს.

მგ96. [გაუქმებულია]

მგ97. საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები არ არის მისი ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები და, შესაბამისად, არ შეიძლება მათი კლასიფიცირება ჰეჯირების ინსტრუმენტებად.

ჰეჯირებული მუხლები (პუნქტები 78-84-ე)

მუხლები, რომლებიც ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს (პუნქტები 78-80-ე)

მგ98. საწარმოთა გაერთიანების დროს საწარმოს შესყიდვის მყარი დაპირება (ვალდებულება) არ შეიძლება იყოს ჰეჯირებული მუხლი. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სავალუტო რისკი იმის გამო, რომ შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს და შეფასდეს სხვა ჰეჯირებული რისკები. ზემოაღნიშნული სხვა რისკები ბიზნესის საერთო რისკებია.

მგ99. წილობრივი მეთოდით ასახული ინვესტიცია არ შეიძლება, რომ ჰეჯირებული მუხლი იყოს სამართლიანი ღირებულების ჰეჯირებისას, ვინაიდან წილობრივი მეთოდის დროს მოგებაში ან ზარალში აღიარდება ინვესტორის კუთვნილი წილი მეკავშირე საწარმოს მოგებაში ან ზარალში და არა ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების ცვლილებები. ამავე მიზეზის გამო, კონსოლიდირებულ შვილობილ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია არ შეიძლება იყოს ჰეჯირებული მუხლი, სამართლიანი ღირებულების ჰეჯირებისას, ვინაიდან კონსოლიდაციის დროს მოგებაში ან ზარალში აღიარდება შვილობილი საწარმოს მოგება ან ზარალი და არა ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების ცვლილებები. უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციის ჰეჯირება განსხვავებულია, რადგან იგი წარმოადგენს სავალუტო

რისკის ჰეჯირებას და არა ინვესტიციის ღირებულების ცვლილების სამართლიანი ღირებულების ჰეჯირებას.

მგ99ა. მე-80 პუნქტში აღნიშნულია, რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული შიდაჯგუფური გარიგების სავალუტო რისკი, ფულადი ნაკადების ჰეჯირებისას, შეიძლება კლასიფიცირებული იყოს ჰეჯირებულ მუხლად, თუკი ეს გარიგება გამოსახული არ არის გარიგებაში მონაწილე საწარმოს სამუშაო ვალუტაში, ხოლო სავალუტო რისკი გავლენას იქონიებს კონსოლიდირებულ მოგებაზე ან ზარალზე. ამ კონტექსტში, საწარმო შეიძლება იყოს მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო, მეკავშირე საწარმო, ერთობლივი საწარმო, ან ფილიალი. თუ პროგნოზირებულ შიდაჯგუფურ გარიგებასთან დაკავშირებული სავალუტო რისკი გავლენას არ ახდენს კონსოლიდირებულ მოგებაზე ან ზარალზე, ასეთი შიდაჯგუფური გარიგება არ აკმაყოფილებს ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირების კრიტერიუმებს. როგორც წესი, ეს არის როიალტის, პროცენტის გადახდის შემთხვევები, ან ერთი და იმავე ჯგუფის წევრებს შორის მმართველობითი ხარჯები, თუ მასთან დაკავშირებული სხვა გარე გარიგება არ არსებობს. ამასთან, როდესაც პროგნოზირებული შიდაჯგუფური გარიგების სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ მოგებაზე ან ზარალზე, მაშინ შესაძლებელია პროგნოზირებული შიდაჯგუფური გარიგების კლასიფიცირება ჰეჯირებულ მუხლად. ამის მაგალითია ჯგუფის წევრებს შორის მარაგის პროგნოზირებული ყიდვა-გაყიდვა, თუ ამას წინ უსწრებს მარაგის გაყიდვა ჯგუფის გარეთ სხვა მხარეზე. ანალოგიურად, ამა თუ იმ მოწყობილობის პროგნოზირებულმა შიდაჯგუფურმა გაყიდვამ შეიძლება გავლენა იქონიოს კონსოლიდირებულ მოგებაზე ან ზარალზე, როდესაც მოწყობილობა უნდა გაყიდოს ჯგუფში შემავალმა საწარმომ, რომელიც მას აწარმოებს ჯგუფის სხვა საწარმოებისთვის, რომლებიც მოწყობილობას თავიანთ საქმიანობაში იყენებენ. მაგალითად, ასე შეიძლება მოხდეს იმის გამო, რომ მოწყობილობას ცვეთას დაარიცხავს მყიდველი საწარმო და მოწყობილობასთან დაკავშირებით თავდაპირველად აღიარებული თანხა შეიძლება შეიცვალოს, თუ პროგნოზირებული შიდაჯგუფური გარიგება გამოსახული არ იქნება მყიდველი საწარმოს სამუშაო ვალუტით.

მგ99ბ. თუ ჰეჯირებული პროგნოზირებული შიდაჯგუფური გარიგება აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს, მაშინ საწარმომ უნდა მოახდინოს 95(ა) პუნქტის შესაბამისად სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობის ან ზარალის რეკლასიფიკაცია საკუთარი კაპიტალიდან მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება, იმავე პერიოდში, ან იმ პერიოდების განმავლობაში, როდესაც ჰეჯირებული გარიგების სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ მოგებაზე ან ზარალზე.

მგ99გ. საწარმოს შეუძლია ჰეჯირებული მუხლის ფულად ნაკადებში ან სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ყველანაირი ცვლილება მიაკუთვნოს ჰეჯირების ურთიერთობას. საწარმოს ასევე შეუძლია ჰეჯირების ურთიერთობას მიაკუთვნოს ჰეჯირებული მუხლის ფულად ნაკადებში ან სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ისეთი ცვლილება, რომელიც მეტი ან ნაკლებია მითითებულ ფასზე ან სხვა ცვლადზე (ცალმხრივი რისკი). ჰეჯირებული მუხლის ცალმხრივ რისკს ასახავს შესყიდული ჰეჯირების ინსტრუმენტის ოფციონის საკუთარი ღირებულება (თუ დავუშვებთ, რომ მასაც იგივე ძირითადი პირობები აქვს, რაც ჰეჯირებისთვის კლასიფიცირებულ რისკს) და არა მისი დროითი ღირებულება. მაგალითად, საწარმოს შეუძლია ჰეჯირების ურთიერთობას მიაკუთვნოს საბირჟო საქონლის პროგნოზირებული შესყიდვის ფასის ზრდით განპირობებული მომავალი ფულადი ნაკადების შედეგების ცვალებადობა. ასეთ შემთხვევაში, ჰეჯირების ურთიერთობას მიეკუთვნება მხოლოდ ფულადი ნაკადების დანაკარგების ის ნაწილი, რასაც იწვევს გარკვეული წინასწარგანსაზღვრული დონის ზემოთ ფასის ზრდა. ჰეჯირებული რისკი არ ითვალისწინებს შესყიდული ოფციონის დროით ღირებულებას, რადგან დროითი ღირებულება არ არის პროგნოზირებული გარიგების ისეთი კომპონენტი, რომელიც გავლენას ახდენს მოგებაზე ან ზარალზე (იხ. 86(ბ) პუნქტი).

ფინანსური მუხლების ჰეჯირებულ მუხლებად კლასიფიცირება (81-ე და 81ა პუნქტები)

მგ99გ. თუ ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ფულადი ნაკადების ნაწილი კლასიფიცირდება, როგორც ჰეჯირებული მუხლი, აღნიშნული კლასიფიცირებული ნაწილი ნაკლები უნდა იყოს ამ აქტივის ან ვალდებულების მთლიანი ფულად ნაკადზე. მაგალითად, ვალდებულების შემთხვევაში, რომლის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი LIBOR-ზე დაბალია,

საწარმოს არ შეუძლია ჰეჯირებულ მუხლად განიხილოს (ა) ვალდებულების ნაწილი, რომელიც ტოლი იქნება ძირ თანხას პლუს პროცენტები LIBOR-ის განაკვეთით და (ბ) უარყოფითი დარჩენილი ნაწილი. თუმცა, საწარმოს შეუძლია მთლიან ფინანსურ აქტივთან ან ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული მთლიანი ფულადი ნაკადების კლასიფიცირება ჰეჯირებულ მუხლად და მათი ჰეჯირება მხოლოდ ერთი კონკრეტული რისკისგან (როგორცაა, მაგალითად მხოლოდ LIBOR-ზე მისაკუთვნიებული ცვლილებების რისკი). მაგალითად, ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში, რომლის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი LIBOR-ის განაკვეთზე 100 საბაზისო პუნქტით ნაკლებია, საწარმოს შეუძლია ჰეჯირებული მუხლის კლასიფიცირება მინიჭოს მთელ ვალდებულებას (ე.ი. ძირ თანხას პლუს პროცენტები LIBOR-ის განაკვეთით მინუს 100 საბაზისო პუნქტით) და განახორციელოს ამ მთლიანი ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილების ან ფულადი ნაკადების იმ ნაწილის ჰეჯირება, რომელიც მიეკუთვნება LIBOR-ის ცვლილებას. საწარმოს ასევე შეუძლია აირჩიოს ჰეჯირების სხვა კოეფიციენტი (რომელიც არ არის 1:1), რათა გააუმჯობესოს ჰეჯირების ეფექტურობა, როგორც ეს აღწერილია მგ100 პუნქტში.

მგ99დ. ამას გარდა, თუ ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტი ჰეჯირებულია მისი მიღებიდან დროის რაღაც პერიოდის შემდეგ და საპროცენტო განაკვეთები იმავდროულად შეიცვალა, საწარმოს შეუძლია განიხილოს, რომ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის ეკვივალენტური ნაწილი დიდია, ვიდრე მუხლზე გადახდილი სახელშეკრულებო განაკვეთი. საწარმოს ასე შეუძლია იმ შემთხვევაში მოიქცეს, თუ საორიენტაციო საბაზისო განაკვეთი ნაკლებია, ვიდრე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოთვლილია დაშვების საფუძველზე, რომ საწარმომ ინსტრუმენტი შეიძინა იმ დღეს, როდესაც პირველად აღიარა ჰეჯირებული მუხლი. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, საწარმო ყიდულობს 100 ფე ღირებულების ფიქსირებულ განაკვეთის მქონე ფინანსურ აქტივს, რომელსაც გააჩნია 6 პროცენტი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იმ დროს, როდესაც LIBOR არის 4 პროცენტი. იგი იწყებს აღნიშნული აქტივის ჰეჯირებას დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც LIBOR გაიზარდა 8 პროცენტამდე და აქტივის სამართლიანი ღირებულება შემცირდება 90 ფე ღირებულებამდე. საწარმო ანგარიშობს, რომ თუ მან აქტივი იყიდა დღეს, როდესაც აქტივი პირველად იქნა კლასიფიცირებული 90 ფე სამართლიანი ღირებულების მქონე ჰეჯირებულ მუხლად, ეფექტური შემოსავლიანობა იქნება 9,5 პროცენტი. იმის გამო, რომ LIBOR ნაკლებია, ვიდრე ეფექტური საპროცენტო შემოსავალი, საწარმოს შეუძლია განიხილოს LIBOR-ს 8 პროცენტი ხელშეკრულების საპროცენტო ფულადი ნაკადების ნაწილობრივ შემადგენელ ნაწილად და, ნაწილობრივ, მიმდინარე სამართლიან ღირებულებასა (ე.ი. 90ფე) და დაფარვის თანხას (ე.ი. 100ფე) შორის სხვაობის ნაწილად.

მგ99ე. 81-ე პუნქტი საწარმოს უფლებას აძლევს, ჰეჯირების რისკს მიაკუთვნოს ზოგიერთი სხვა ცვლილება, გარდა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების მთლიანი ცვლილებისა, ან ფულადი სახსრების ცვალებადობისა. მაგალითად:

- ა) ფინანსური ინსტრუმენტის მთელი ფულადი ნაკადები შეიძლება განისაზღვროს, როგორც ფულადი სახსრების ან სამართლიანი ღირებულების ისეთი ცვლილება, რომლის მიკუთვნება შესაძლებელია ზოგიერთ (მაგრამ არა ყველა) რისკზე; ან
- ბ) ფინანსური ინსტრუმენტის ზოგიერთი (მაგრამ არა ყველა) ფულადი ნაკადები შეიძლება განისაზღვროს, როგორც ფულადი სახსრების ან სამართლიანი ღირებულების ისეთი ცვლილება, რომელიც მიეკუთვნება ყველა ან მხოლოდ ზოგიერთ რისკს (ე.ი. ფინანსური ინსტრუმენტის რაღაც "ნაწილი" შეიძლება მიჩნეულ იქნეს ისეთ ცვლილებად, რომლის მიკუთვნებაც შესაძლებელია ყველა ან მხოლოდ ზოგიერთ რისკზე.

მგ99ვ. იმისათვის, რომ მუხლი უფლებამოსილი იყოს ჰეჯირების აღრიცხვისთვის, მასზე მიკუთვნიებული რისკები და ნაწილები უნდა იყოს ფინანსური ინსტრუმენტის განცალკევებით იდენტიფიცირებადი კომპონენტები და ამავე დროს შესაძლებელი იყოს ამ რისკებისა და ფინანსური ინსტრუმენტის ნაწილების ცვლილებით გამოწვეული მთლიანი ფინანსური ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების, ან სამართლიანი ღირებულების ცვლილების საიმედოდ შეფასება. მაგალითად:

- ა) ფიქსირებულგანაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელიც ჰეჯირებულია სამართლიანი ღირებულების ისეთი ცვლილებისთვის, რომელიც მიეკუთვნება ურისკო

საპროცენტო განაკვეთის ან საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას. ურისკო ან საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთი, როგორც წესი, მიიჩნევა ფინანსური ინსტრუმენტის განცალკევებით იდენტიფიცირებად კომპონენტად, ასევე კომპონენტად, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;

- ბ) ინფლაცია არ არის განცალკევებით იდენტიფიცირებადი და საიმედოდ შეფასებადი და არ შეიძლება მისი რისკად ან ფინანსური ინსტრუმენტის ნაწილად მიჩნევა, თუ დაკმაყოფილებული არ არის შემდეგი (გ) პუნქტის მოთხოვნები;
- გ) ფულადი ნაკადების ინფლაციური ნაწილი, რომელიც ხელშეკრულებით არის განსაზღვრული ინფლაციასთან დაკავშირებული (ინფლაციის გათვალისწინებით ინდექსირებული) აღიარებული ობლიგაციისთვის (თუ არ მოითხოვება ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე აღრიცხვა), წარმოადგენს განცალკევებით იდენტიფიცირებად კომპონენტს და ასევე კომპონენტს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

არაფინანსური მუხლების ჰეჯირებულ მუხლებად კლასიფიცირება (პუნქტი 82-ე)

მგ100. არაფინანსური აქტივის ან არაფინანსური ვალდებულების კომპონენტის შემადგენელი ნაწილის ფასის ცვლილებებს, ძირითადად, არ გააჩნია წინასწარ სავარაუდო, განცალკევებით შეფასებადი ეფექტი მუხლის ფასზე, რომელიც შესაძარისია, დაფუძვით, ობლიგაციის ფასის საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებთან. ამგვარად, არაფინანსური აქტივი ან არაფინანსური ვალდებულება წარმოადგენს ჰეჯირებულ მუხლს მხოლოდ მთლიანობაში ან სავალუტო რისკისათვის. თუ არსებობს სხვაობა ჰეჯირების ინსტრუმენტის პირობებსა და ჰეჯირებულ მუხლს შორის (მაგალითად, ბრაზილიური ყავის დაგეგმილი შესყიდვის ჰეჯირებისთვის კოლუმბიური ყავის შესყიდვის სხვა მსგავსი პირობების მქონე ფორვარდული ხელშეკრულების გამოყენებით), ჰეჯირების ურთიერთობა შეიძლება აკმაყოფილებდეს ჰეჯირების ურთიერთობად კლასიფიცირების კრიტერიუმებს, 88-ე პუნქტის ყველა პირობის გათვალისწინებით, იმის ჩათვლით, რომ ჰეჯირება მოსალოდნელია მაღალეფექტური იყოს. ამ მიზეზით, ჰეჯირების ინსტრუმენტის ღირებულება შეიძლება მეტი ან ნაკლები იყოს, ვიდრე ჰეჯირებული მუხლისა, თუ აღნიშნული აუმჯობესებს ჰეჯირების ურთიერთობის ეფექტურობას. მაგალითად, აღიარების ანალიზი შეიძლება გამოყენებული იყოს იმისათვის, რომ ჩამოაყალიბოს სტატისტიკური ურთიერთობა ჰეჯირებულ მუხლსა (ე.ი. ბრაზილიურ ყავაზე დადებული გარიგება) და ჰეჯირების ინსტრუმენტს (ე.ი. კოლუმბიურ ყავაზე დადებული გარიგება) შორის. თუ არსებობს საფუძვლიანი სტატისტიკური ურთიერთობა ორ ცვლადს შორის (ე.ი. ბრაზილიური ყავისა და კოლუმბიური ყავის ორ ერთეულ ფასს შორის), რეგრესიის წრფის დახრა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჰეჯირების კოეფიციენტის დასადგენად, რომელიც მოსალოდნელ ეფექტურობას მაქსიმალურად გაზრდის. მაგალითად, თუ რეგრესიის წრფის დახრა არის 1.02, ჰეჯირების კოეფიციენტი, რომელიც გამოთვლილია ჰეჯირებული მუხლების რაოდენობის (0.98) შეფარდებით ჰეჯირების ინსტრუმენტის რაოდენობასთან (1.00), მაქსიმალურად გაზრდის მოსალოდნელ ეფექტურობას. თუმცა, ჰეჯირების ურთიერთობამ შეიძლება გამოიწვიოს არაეფექტურობა, რომელიც აღიარებდება მოგებაში ან ზარალში ჰეჯირების ურთიერთობის პერიოდის განმავლობაში.

მუხლების ჯგუფის ჰეჯირებულ მუხლებად კლასიფიცირება (83 და 84-ე პუნქტები)

მგ101. ნეტო ერთიანი პოზიციის ჰეჯირება (ე.ი. მსგავსი დაფარვის ვადის მქონე ყველა ნეტო ფიქსირებული განაკვეთის მქონე აქტივებისა და ფიქსირებული განაკვეთის მქონე ვალდებულებების), როგორც სპეციფიკური ჰეჯირებული მუხლისა, არ განიხილება ჰეჯირების აღრიცხვად. თუმცა, ამ ტიპის ჰეჯირების ურთიერთობისას, ჰეჯირების აღრიცხვის მოგებაზე ან ზარალზე თითქმის შეიძლება იგივე ეფექტი იქნეს მიღებული, ძირითადი მუხლების ნაწილის ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირების შემთხვევაში. მაგალითად, თუ ბანკს აქვს 100 ფე ღირებულების აქტივები და 90 ფე ღირებულების ვალდებულებები მსგავსი ბუნების რისკებითა და ვადებით და ახდენს ნეტო 10 ფე დანაკარგების ჰეჯირებას, იგი შეიძლება განიხილებოდეს აღნიშნული აქტივების 10 ფე ღირებულების ჰეჯირებულ მუხლად. ასეთი კლასიფიცირება შეიძლება იქნეს გამოყენებული, თუ ამგვარი აქტივები და ვალდებულებები ფიქსირებულ-განაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტებია, რა შემთხვევაშიც ეს იქნება სამართლიანი ღირებუ-

ლებით ჰეჯირება. ასევე, თუ საწარმოს გააჩნია 100 ფე უცხოური ვალუტით შესყიდვის მყარი დაპირება (ვალდებულება) და 90 ფე უცხოური ვალუტით გაყიდვის მყარი დაპირება (ვალდებულება), მას შეუძლია მოახდინოს ნეტო 10 ფე ღირებულების ჰეჯირება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის მიღების გზითა და მისი ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირებით, რომ იგი 100 ფე ღირებულებით შესყიდვის მყარ ვალდებულებასთან დაკავშირებული 10 ფე ღირებულების ჰეჯირების ინსტრუმენტია.

ჰეჯირების აღრიცხვა (პუნქტები 85-102-ე)

- მგ102. სამართლიანი ღირებულებით ჰეჯირების მაგალითია საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით გამოწვეული ფიქსირებული განაკვეთის მქონე სავალო ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების სავარაუდო ცვლილებების ჰეჯირება. ასეთი ჰეჯირება შეიძლება ძალაში იყოს შესული ემიტენტის ან მფლობელის მიერ.
- მგ103. ფულადი სახსრების ჰეჯირების მაგალითია სვოპის გამოყენება იმ მიზნით, რომ ცვალებადი განაკვეთის მქონე ვალი გადაყვანილ იქნეს ფიქსირებული განაკვეთის ვალში (ე.ი. მომავალი გარიგების ჰეჯირება, როდესაც ჰეჯირებული მომავალი ფულადი ნაკადები წარმოადგენს მომავალ საპროცენტო გადასახდელებს).
- მგ104. მყარი დაპირების (ვალდებულების) ჰეჯირება (მაგალითად, საწვავის ფასის ცვლილების ჰეჯირება, რომელიც დაკავშირებულია ელექტროენერჯის კომპანიის აულიარებელ სახელშეკრულებო ვალდებულებასთან, რომელიც ეხება საწვავის ფიქსირებული ფასით შესყიდვას მომავალში) წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების სავარაუდო ცვლილების ჰეჯირებას. შესაბამისად, ასეთი ჰეჯირება წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების ჰეჯირებას. თუმცა, 87-ე პუნქტის თანახმად, მყარი დაპირების (ვალდებულების) სავალუტო რისკის ჰეჯირება ალტერნატიულად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ფულადი ნაკადების ჰეჯირება.

ჰეჯირების ეფექტურობის შეფასება

- მგ105. ჰეჯირება მაღალეფექტურად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვემოთ ჩამოთვლილი ორივე პირობაა დაკმაყოფილებული:
 - ა) ჰეჯირების დაწყებისას და შემდგომ პერიოდში ჰეჯირება მოსალოდნელია, რომ მაღალეფექტური იყოს ფულადი ნაკადების ან სამართლიანი ღირებულების ჰეჯირებულ რისკთან დაკავშირებული გადაფარვადი ცვლილებების მისაღწევად იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც ჰეჯირება ხორციელდება. ასეთი ვარაუდები შეიძლება დემონსტრირებული იყოს სხვადასხვა გზით, მათ შორის, ჰეჯირებულ რისკთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლის სამართლიანი ღირებულების თუ ფულადი ნაკადების წარსული ცვლილებების შედარებით ცვლილებებთან, რომლებიც დაკავშირებულია ჰეჯირების ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულებისა და ფულადი ნაკადების წარსულ ცვლილებებთან, ან მაღალი სტატისტიკური კორელაციის დემონსტრირებით ჰეჯირებული მუხლისა და ჰეჯირების ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებასა და ფულად ნაკადებს შორის. საწარმოს შეუძლია მაღალი კოეფიციენტი ამოირჩიოს იმისათვის, რომ გააუმჯობესოს ჰეჯირების ეფექტურობა მგ100 პუნქტში აღწერილის შესაბამისად;
 - ბ) ჰეჯირების ფაქტობრივი შედეგები მოქცეულია 80-125 პროცენტს შორის. მაგალითად, თუ ფაქტობრივი შედეგები წარმოადგენს ჰეჯირების ინსტრუმენტზე 120 ფე ოდენობის ზარალს, ხოლო ამონაგები ფულად ინსტრუმენტზე უდრის 100 ფე-ს, ურთიერთგადაფარვა შეიძლება შეფასებული იყოს 120/100, რაც უდრის 120 პროცენტს, ან/და 100/120, რაც 83 პროცენტის ტოლია. ამ მაგალითში, ჰეჯირების შეფასება აკმაყოფილებს (ა) პუნქტის პირობას და საწარმო ასეთ ჰეჯირებას მაღალეფექტურად მიიჩნევს.
- მგ106. ეფექტურობა ფასდება მინიმალურად, როდესაც საწარმო ამზადებს წლიურ ან პერიოდულ ფინანსურ ანგარიშგებებს.
- მგ107. ეს სტანდარტი არ განსაზღვრავს ჰეჯირების ეფექტურობის შეფასების ცალკეულ მეთოდს. მეთოდი, რომელსაც საწარმო ეფექტურობის შეფასებას მიუსადაგებს, დამოკიდებულია რისკის მართვის სტრატეგიაზე. მაგალითად, თუ საწარმოს რისკის მართვის სტრატეგია ჰეჯირების ინსტრუმენტის ღირებულების პერიოდულ კორექტირებას ახდენს იმ მიზნით, რომ ასახოს

ჰეჯირებული პოზიციის ცვლილებები, საწარმომ უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ ჰეჯირება მაღალეფექტური იქნება მხოლოდ პერიოდად, სანამ ჰეჯირების ინსტრუმენტის ღირებულების შემდგომი კორექტირება მოხდება. ზოგ შემთხვევაში, საწარმო იყენებს განსხვავებულ მეთოდებს ჰეჯირების განსხვავებული ტიპებისათვის. საწარმოს ჰეჯირების სტრატეგიის დოკუმენტაცია შეიცავს მის მიერ ეფექტურობის შეფასების პროცედურებს. აღნიშნული პროცედურები გამოიყენება მანამდე, სანამ შეფასება მოიცავს ნებისმიერ ამონაგებსა და ზარალს ჰეჯირების ინსტრუმენტზე ან/და სანამ ინსტრუმენტის დროითი ღირებულება გამოირიცხება.

მგ107ა. თუ საწარმო ახდენს მუხლზე შესაძლო ზარალის 100 პროცენტზე ნაკლების ჰეჯირებას, მაგალითად, 85 პროცენტს, მან უნდა განიხილოს ჰეჯირებული მუხლი, როგორც შესაძლო ზარალის 85 პროცენტი და უნდა შეაფასოს არაეფექტურობა ჰეჯირებული 85 პროცენტის ცვლილებაზე დაყრდნობით. თუმცა, შესაძლო ზარალის შერჩეული 85 პროცენტის ჰეჯირებისას საწარმომ შეიძლება გამოიყენოს ჰეჯირების კოეფიციენტი, თუ აღნიშნული აუმჯობესებს ჰეჯირების მოსალოდნელ ეფექტურობას, როგორც მოცემულია პუნქტში მგ100.

მგ108. თუ ძირითადი ჰეჯირების ინსტრუმენტისა და ჰეჯირებული აქტივის, ვალდებულების, მყარი დაპირების (ვალდებულების), ან მაღალი ალბათობით მოსალოდნელი მომავალი გარიგების ვადები ერთი და იგივეა, ჰეჯირებულ რისკთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულებისა და ფულადი ნაკადების ცვლილებები შეიძლება ერთმანეთის მიერ ადვილად გადაფარული იყოს, ჰეჯირების ძალაში შესვლისა და შემდგომი პერიოდის განმავლობაშიც. მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის სვოპი ადვილად შესაძლებელია ეფექტური ჰეჯირება იყოს, თუ პირობითი და ძირითადი თანხები, ვადა, საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის თარიღები, პროცენტებისა და ძირითადი თანხების მიღებისა და გადახდის თარიღები და საპროცენტო განაკვეთის შეფასების ძირითადი მეთოდები ერთი და იგივეა ჰეჯირების ინსტრუმენტისა და ჰეჯირებული მუხლისათვის. გარდა ამისა, ფორვარდული გარიგების მეშვეობით მაღალი ალბათობით მოსალოდნელი საქონლის შესყიდვის ჰეჯირება შეიძლება ეფექტურად განიხილებოდეს:

- ა) თუ ფორვარდული გარიგება გამიზნულია იმავე რაოდენობის, იმავე საქონლის იმავე დღეს და ადგილზე შესყიდვისათვის, რისთვისაც გამიზნულია დაგეგმილი ჰეჯირებული შესყიდვა;
- ბ) ფორვარდული გარიგების სამართლიანი ღირებულება დასაწყისში ნულის ტოლია; და
- გ) თუ ფორვარდული ხელშეკრულების დისკონტი და პრემია გამორიცხულია ეფექტურობის შეფასებიდან და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში ან/და დაგეგმილი მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული გარიგებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ცვლილება ემყარება საქონლის ფორვარდულ ფასს.

მგ109. ზოგჯერ, ჰეჯირების ინსტრუმენტი ფარავს მხოლოდ ჰეჯირებული რისკის ნაწილს. მაგალითად, ჰეჯირება არ იქნება სრულად ეფექტური, თუ ჰეჯირების ინსტრუმენტი და ჰეჯირებული მუხლი განსაზღვრული განსხვავებულ ვალუტაში, რომლებიც არ შეიძლება მოძრაობდეს ერთმანეთის პარალელურად. ასევე, საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირება, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენებით არასრულად ეფექტური იქნება, თუ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცვლილების ნაწილი დაკავშირებულია კონტრაპენტის საკრედიტო რისკთან.

მგ110. ჰეჯირების აღრიცხვად კვალიფიცირებისათვის, ჰეჯირება უნდა უკავშირდებოდეს სპეციფიკურად განსაზღვრულ და კლასიფიცირებულ რისკს და არა საწარმოს ძირითადი ბიზნესის რისკს და გავლენას უნდა ახდენდეს საწარმოს მოგებაზე ან ზარალზე. ფიზიკური აქტივის მოძველების რისკის ან მთავრობის მიერ ქონების ექსპროპრიაციის რისკების ჰეჯირება მიუღებელია ჰეჯირების აღრიცხვისათვის; ეფექტურობა არ შეიძლება შეფასებული იყოს იმის გამო, რომ აღნიშნული რისკები საიმედოდ შეფასებადი არ არის.

მგ110ა. 74(ა) პუნქტი საწარმოს უფლებას აძლევს, განაცალკევოს ოფციონის ხელშეკრულების საკუთარი ღირებულება და დროითი ღირებულება და ჰეჯირების ინსტრუმენტად მიიჩნიოს მხოლოდ ოფციონის ხელშეკრულების საკუთარი ღირებულება. ამგვარმა კლასიფიცირებამ შეიძლება გამოიწვიოს ჰეჯირების ურთიერთობა, რომელიც მთლიანად ეფექტური იქნება იმ ფულადი

ნაკადების ცვლილებების ურთიერთგადაფარვის მიღწევის თვალსაზრისით, რომლებიც განეკუთვნება პროგნოზირებული გარიგების ცალმხრივი რისკის ჰეჯირებას, თუ პროგნოზირებული გარიგებისა და ჰეჯირების ინსტრუმენტის ძირითადი პირობები ერთი და იგივეა.

- 110ბ. თუ საწარმო მთლიან შესყიდულ ოფციონს განსაზღვრავს როგორც პროგნოზირებული გარიგებიდან წარმოშობილი ცალმხრივი რისკის ჰეჯირების ინსტრუმენტს, ჰეჯირების ურთიერთობა მთლიანად არ იქნება ეფექტური. ეს იმიტია განპირობებული, რომ ოფციონისთვის გადახდილი პრემიალური თანხა მოიცავს დროით ღირებულებას და, როგორც მგ99ბა პუნქტში იყო აღნიშნული, ჰეჯირებისთვის განსაზღვრული ცალმხრივი რისკი კი არ მოიცავს ოფციონის დროით ღირებულებას. ამგვარად, ასეთ სიტუაციაში, არ მოხდება ოფციონის პრემიალური თანხის დროით ღირებულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისა და ჰეჯირებული რისკის ურთიერთგადაფარვა.
- მგ111. საპროცენტო განაკვეთის რისკის შემთხვევაში, ჰეჯირების ეფექტურობა შეიძლება შეფასდეს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის განრიგის შედგენის მემვეობით, რაც გვიჩვენებს მოსალოდნელ ნეტო საპროცენტო დანაკარგებს დროის ყოველი პერიოდისათვის მაშინ, როდესაც ნეტო შესაძლო დანაკარგები დაკავშირებულია სპეციფიკურ აქტივსა თუ ვალდებულებასთან (ან სპეციფიკური აქტივების ან ვალდებულებების ჯგუფთან ან მათ სპეციფიკურ ნაწილთან) და იწვევს ნეტო შესაძლო დანაკარგების ზრდას, ხოლო ჰეჯირების ეფექტურობის შეფასება ხდება აღნიშნული აქტივისა და ვალდებულების საპირისპიროდ.
- მგ112. ჰეჯირების ეფექტურობის შეფასებისას საწარმო, ძირითადად, განიხილავს ფულის დროით ღირებულებას. ჰეჯირებული მუხლის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აუცილებელი არ არის, ზუსტად ემთხვეოდეს საპროცენტო ხასიათის აქტივის ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს სვოპის დროს, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით ჰეჯირება. არც საპროცენტო ხასიათის აქტივის ან ვალდებულების ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი საჭიროებს იმას, რომ იგივე იყოს, რაც ფულადი ნაკადების ჰეჯირებად მიჩნეული სვოპის ცვალებადი საპროცენტო განაკვეთია. სვოპის სამართლიანი ღირებულება წარმოიშობა მისი ნეტო ანგარიშსწორებებიდან. სვოპის ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთები შეიძლება შეიცვალოს ნეტო ანგარიშსწორებაზე გავლენის მოხდენის გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ ორივე იცვლება ერთი და იმავე სიდიდით.
- მგ113. თუ საწარმო არ აკმაყოფილებს ჰეჯირების ეფექტურობის კრიტერიუმს, იგი წყვეტს ჰეჯირების აღრიცხვას იმ უკანასკნელი თარიღით, როდესაც ჰეჯირების ეფექტურობის დასკვნა იყო დემონსტრირებული. თუმცა, თუ საწარმო ადგენს, რომ შემთხვევის ან გარემო პირობების ცვლილება იწვევს ჰეჯირების ურთიერთობის კრიტერიუმის გაუარესებას და წარმოაჩენს, რომ ჰეჯირება ეფექტური იყო, სანამ შემთხვევა ან გარემო პირობები წარმოიშობოდა, საწარმო წყვეტს ჰეჯირების აღრიცხვას იმ დღიდან, როდესაც მოხდა შემთხვევის ან გარემო პირობების ცვლილება.
- მგ113ა. გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, თავდაპირველი კონტრაქტის კლირინგული კონტრაქტით შეცვლის შედეგები და შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რაც აღწერილია 91(ა)(ii) და 101(ა)(ii) ქვეპუნქტებში, უნდა აისახოს ჰეჯირების ინსტრუმენტის შეფასებაში და, მაშასადამე, ჰეჯირების ეფექტურობის ანალიზსა და ჰეჯირების ეფექტურობის შეფასებაშიც.

პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართლიანი ღირებულების ჰეჯირება

- მგ114. ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების პორტფელთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართლიანი ღირებულების ჰეჯირებისას, საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს ამ სტანდარტის მოთხოვნებს იმ შემთხვევაში, თუ იგი შეესაბამება პროცედურებს, რომლებიც აღწერილია (ა)-(ი) და მგ115-მგ132 პუნქტებში:
- ა) საწარმო რისკების მართვის პროცესის ფარგლებში განსაზღვრავს იმ მუხლების პორტფელს, რომელთა საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებაც სურს. პორტფელი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ აქტივებს, მხოლოდ ვალდებულებებს ან ორივეს ერთად. საწარმოს უფლება აქვს განსაზღვროს ორი ან რამდენიმე პორტფელი, რა შემთხვევაშიც ქვემოთ განხილულ მითითებებს თითოეული პორტფელისთვის ცალ-ცალკე გამოიყენებს;

- ბ) საწარმო პორტფელს ანალიზებს საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის პერიოდებში, საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის მოსალოდნელი თარიღების და არა სახელშეკრულებო თარიღების საფუძველზე. საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის პერიოდში ანალიზი შეიძლება გაკეთდეს სხვადასხვა ხერხით, მათ შორის, ფულადი სახსრების განრიგის დაწესებით იმ პერიოდებში, რომლებშიც მოსალოდნელია მათი წარმოშობა, ან პირობითი, ძირითადი თანხების განრიგის დაწესებით ნებისმიერი პერიოდის განმავლობაში, სანამ ფასების დადგენა იქნება მოსალოდნელი;
- გ) ანალიზიდან გამომდინარე, საწარმო განსაზღვრავს თანხას, რომლის ჰეჯირებასაც იგი აპირებს. საწარმო განსაზღვრული პორტფელიდან აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობას მიიჩნევს ჰეჯირებულ მუხლად (მაგრამ არა ნეტო ღირებულებად), რომელიც იმ ღირებულების ეკვივალენტურია, რასაც საწარმო განიხილავს ჰეჯირებულად. აღნიშნული რაოდენობა, აგრეთვე, განსაზღვრავს პროცენტულობის შეფასებას, რომელიც გამოიყენება ეფექტურობის ტესტირებისათვის მგ126(ბ) პუნქტის შესაბამისად;
- დ) საწარმო აფასებს საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებას. აღნიშნული რისკი შეიძლება საპროცენტო განაკვეთის რისკის ნაწილი იყოს ჰეჯირებული პოზიციის ყოველ მუხლში, როგორცაა საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთი (მაგალითად, LIBOR);
- ე) საწარმო საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის ყოველ პერიოდში განიხილავს ერთ ან მეტ ჰეჯირების ინსტრუმენტს;
- ვ) ზემოხსენებულ (გ)-(ე) პუნქტებში მოყვანილი კლასიფიკაციის გამოყენებისას, საწარმო განსაზღვრავს საწყის და შემდგომ პერიოდებს, რათა დაადგინოს, არის თუ არა მოსალოდნელი, რომ ჰეჯირება მაღალეფექტური იყოს პერიოდში, რომელშიც იგი კლასიფიცირდება;
- ზ) საწარმო პერიოდულად აფასებს ჰეჯირებული მუხლის სამართლიანი ღირებულების ცვლილებას (როგორც განსაზღვრულია (გ) პუნქტში), რომელიც დაკავშირებულია ჰეჯირებულ რისკთან (როგორც განსაზღვრულია (დ) პუნქტში) (ბ) პუნქტით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის მოსალოდნელ თარიღებზე დაყრდნობით. იმის გათვალისწინებით, რომ ჰეჯირება განიხილება მაღალეფექტურად, როდესაც მისი შეფასება ჩვეულებრივ ხდება საწარმოს მიერ ეფექტურობის შეფასების დოკუმენტირებული მეთოდის გამოყენებით, საწარმო ჰეჯირებული მუხლის სამართლიანი ღირებულების ცვლილებას აღიარებს მოგებაში ან ზარალში, ამონაგებისა თუ ზარალის სახით ან/და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ორიდან ერთი სახის მუხლად, როგორც აღწერილია 89ა პუნქტში. სამართლიანი ღირებულების ცვლილება გადანაწილებული არ უნდა იყოს ინდივიდუალურ აქტივებსა და ვალდებულებებზე;
- თ) საწარმო ჰეჯირების ინსტრუმენტის (ინსტრუმენტების) სამართლიანი ღირებულების ცვლილებას აფასებს (როგორც მოცემულია (ე) პუნქტში) და მას აღიარებს შემოსულობის ან ზარალის სახით მოგებაში ან ზარალში. ჰეჯირების ინსტრუმენტის (ინსტრუმენტების) სამართლიანი ღირებულება აღიარებული უნდა იყოს აქტივად ან ვალდებულებად საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში;
- ი) ნებისმიერი არაეფექტურობა² უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, როგორც (ზ) პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ სამართლიან ღირებულებასა და (თ) პუნქტში განსაზღვრულ ცვლილებას შორის სხვაობა.

მგ115. აღნიშნული მიდგომა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული. მიდგომა გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართლიანი ღირებულებით ჰეჯირებისას, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელთან.

მგ116. მგ114(ა) პუნქტში განხილული პორტფელი შეიძლება შეიცავდეს აქტივებსა და ვალდებულებებს. ალტერნატიულად, იგი შეიძლება წარმოადგენდეს პორტფელს, რომელიც შეიცავს მხოლოდ აქტივებს ან მხოლოდ ვალდებულებებს. პორტფელი გამოიყენება აქტივებისა და

² ამ კონტექსტში არსებითობა იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც ყველგან ფასს სტანდარტებში.

ვალდებულებების იმ რაოდენობის დასადგენად, რომლის ჰეჯირებასაც საწარმო აპირებს. თუმცა, პორტფელი თავისთავად არ კლასიფიცირდება, როგორც ჰეჯირებული მუხლი.

მგ117. მგ114(ბ) პუნქტის შესაბამისად, საწარმო მუხლის საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის მოსალოდნელ თარიღს განსაზღვრავს უახლოესი თარიღებით, როდესაც მოსალოდნელია აღნიშნული მუხლის დაფარვა ან მისი ფასის საბაზრო განაკვეთით განსაზღვრა. საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის მოსალოდნელი თარიღები განსაზღვრება ჰეჯირების დაწყების დროს და ჰეჯირების მთელი ვადის განმავლობაში, წარსულ გამოცდილებასა და სხვა ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით (მათ შორის, როგორცაა: ინფორმაცია და მოლოდინები წინასწარი გადადხების დონეების, საპროცენტო განაკვეთებისა და მათი ურთიერთქმედების შესახებ). საწარმოები, რომლებსაც არ გააჩნიათ საწარმოს სპეციფიკური გამოცდილება ან გააჩნიათ არასაკმარისი გამოცდილება, იყენებენ მსგავსი ჯგუფის გამოცდილებას შესადარისი ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. აღნიშნული შეფასებების მიმოხილვა ხდება პერიოდულად არსებული გამოცდილების შესაბამისად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე წინასწარ გადასახდელი აქტივის შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის მოსალოდნელი თარიღი არის თარიღი, როდესაც მოსალოდნელია ამ აქტივისთვის წინასწარ გადახდა, თუ მისი საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა არ ხდება უფრო ადრინდელი თარიღის საბაზრო განაკვეთით. მსგავსი აქტივების ჯგუფის გაანალიზება, დროის ისეთი პერიოდების მიხედვით, რომლებიც ეყრდნობა საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის მოსალოდნელ თარიღებს, შეიძლება გულისხმობდეს მთელი ჯგუფის პროცენტების განაწილებას დროის თითოეულ პერიოდზე და არა ინდივიდუალური აქტივების. საწარმომ ამგვარი გადანაწილების მიზნით შეიძლება გამოიყენოს სხვა მეთოდოლოგიაც. მაგალითად, მას შეუძლია გამოიყენოს წინასწარ გადახდის განაკვეთის კოეფიციენტი, ამორტიზებული სესხების გასანაწილებლად დროის პერიოდებზე, რომლებიც ემყარება საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის მოსალოდნელ თარიღებს. თუმცა, ამგვარი განაწილების მეთოდიკა უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს რისკის მართვის პროცედურებსა და მიზნებს.

მგ118. მგ114(გ) პუნქტში მოცემული კლასიფიკაციის მაგალითის თანახმად, თუ საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის ცალკეულ პერიოდში საწარმო დაადგენს, რომ მას გააჩნია 100 ფე ღირებულების ფიქსირებული განაკვეთის მქონე აქტივები და 80 ფე ღირებულების ფიქსირებული განაკვეთის მქონე ვალდებულებები და გადაწყვეტილებას იღებს, მოახდინოს მთლიანი 20 ფე-ის ნეტო პოზიციის ჰეჯირება, იგი ჰეჯირებულ მუხლად განიხილავს 20 ფე ღირებულების აქტივებს (აქტივების ნაწილს).³ კლასიფიცირება გამოსახება ფულადი ერთეულებით (მაგალითად, დოლარის, ევროს, ფუნტის ან რანდის), ვიდრე ინდივიდუალური აქტივებით. აქედან გამომდინარე, აქტივები (ან ვალდებულებები), რომელთაგანაც ამოღებულია ჰეჯირებული ღირებულება – ე.ი. მთლიანი 100 ფე ღირებულების აქტივები ზემოთ განხილულ მაგალითში – ქვემოთ მოყვანილი მაგალითების შესაბამისად, უნდა წარმოადგენდეს:

- ა) მუხლებს, რომელთა სამართლიანი ღირებულება იცვლება ჰეჯირებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასთან ერთად; და
- ბ) მუხლები, რომლებიც შეიძლება აკმაყოფილებდეს სამართლიანი ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებს, თუ ისინი გამიზნულია ცალ-ცალკე ჰეჯირებისთვის. კერძოდ, ფასს 13 აზუსტებს, რომ მოთხოვნის მხასიათებლის მქონე ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულება (როგორცაა მოთხოვნამდე დეპოზიტი ან ზოგიერთი ტიპის ვადიანი დეპოზიტი) არ უნდა იყოს ნაკლები, ვიდრე მოთხოვნისას გადასახდელი თანხა, რომელიც დისკონტირდება პირველივე დღიდან, როდესაც თანხის გადახდა შეიძლება იქნეს მოთხოვნილი. ამიტომ ასეთი მუხლი ვერ დააკმაყოფილებს სამართლიანი ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებს არც ერთ სხვა პერიოდში, გარდა ყველაზე მოკლე პერიოდისა, როდესაც მფლობელს შეუძლია გადახდის მოთხოვნა. ზემოხსენებულ მაგალითში, ჰეჯირებული პოზიცია აქტივების ღირებულებაა. ამიტომ ასეთი ვალდებულებები არ წარმოადგენს ჰეჯირებული მუხლის ნაწილს, არამედ საწარმო იყენებს იმ აქტივის ღირებულების დასადგენად, რომელიც გამიზნულია, რომ იყოს

3. წინამდებარე სტანდარტი საწარმოს უფლებას აძლევს, ჰეჯირებულ მუხლად განიხილოს აქტივების ან ვალდებულებების ნებისმიერი ოდენობა (ღირებულება), რომლებიც აკმაყოფილებს გარკვეულ კრიტერიუმებს, ე.ი. ამ მაგალითში აქტივების ნებისმიერი ოდენობა 0 ფე-სა 100 ფე-ს შორის.

ჰეჯირებული მუხლი. თუ საწარმოს სურს სხვადასხვა ვალდებულების ჰეჯირება, კლასიფიცირებული ჰეჯირებული მუხლის თანხა საწარმომ უნდა განსაზღვროს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ვალდებულებების ღირებულების საფუძველზე და არ უნდა გაითვალისწინოს ვალდებულებები, რომელთა დაფარვაც საწარმოს შეიძლება უახლოეს პერიოდში მოეთხოვოს, ხოლო პროცენტის მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება ჰეჯირების ეფექტურობის დასადგენად მგ126(ბ) პუნქტის შესაბამისად, გამოითვლება, როგორც პროცენტი აღნიშნული სხვა ვალდებულებების მიმართ. მაგალითად, წარმოვიდგინოთ: საწარმო ასკვნის, რომ მას საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის გარკვეული თარიღისთვის გააჩნია 100 ფე ღირებულების ფიქსირებული განაკვეთის მქონე ვალდებულებები, რომლებიც შეიცავს 40 ფე-ის მოთხოვნამდე დეპოზიტს და 60 ფე ღირებულების ვალდებულებებს, რომლებსაც არ გააჩნია მოთხოვნის მახასიათებელი და ასევე 70 ფე ღირებულების ფიქსირებული განაკვეთის მქონე აქტივები. თუ საწარმო გადაწყვეტს მთლიანი ნეტო პოზიციის ჰეჯირებას, რომლის ღირებულებაც 30 ფე, იგი ჰეჯირებულ მუხლად განიხილავს 30 ფე ღირებულების ვალდებულებებს, ან მოთხოვნის მახასიათებლის არმქონე ვალდებულების⁴ 50 პროცენტს.

მგ119. საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს აგრეთვე სხვა კლასიფიკაციებისა და დოკუმენტაციების მოთხოვნებს 88(ა) პუნქტის შესაბამისად. პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებისთვის, აღნიშნული კლასიფიკაციები და დოკუმენტაციები განსაზღვრავს საწარმოს პოლიტიკას მთელი მისი ცვლადებისათვის, რომლებიც გამოიყენება ჰეჯირებული ღირებულების დასადგენად და კიდევ იმის გასარკვევად, როგორ შეფასდა ეფექტურობა. აღნიშნული აგრეთვე გამოიყენება იმისათვის, რომ დადგინდეს:

- ა) რომელი აქტივები და ვალდებულებები უნდა იყოს ჩართული პორტფელის ჰეჯირებისას და საფუძვლები, რის შედეგადაც მოხდება მათი პორტფელიდან ამოღება;
- ბ) როგორ აფასებს საწარმო საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის თარიღებს, მათ შორის საპროცენტო განაკვეთის რომელ დაშვებებს ეყრდნობა წინასწარ გადახდის განაკვეთების შეფასებები და აღნიშნული შეფასებების ცვლილებების საფუძვლები. იგივე მეთოდი გამოიყენება აქტივის ან ვალდებულების ჰეჯირებულ პორტფელში ჩართვის დროს თავდაპირველი შეფასებისთვისაც და შეფასების სხვა ნებისმიერი კორექტირებისთვისაც;
- გ) საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის დროის პერიოდების რაოდენობა და ხანგრძლივობა;
- დ) რამდენად ხშირად განახორციელებს საწარმო ეფექტურობის ტესტირებას და მგ126 პუნქტში მოყვანილი ორი მეთოდიდან რომელი იქნება გამოყენებული;
- ე) საწარმოს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია იმ აქტივებისა და ვალდებულებების დასადგენად, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირებულ მუხლად და, შესაბამისად, საწარმოს მიერ მგ126(ბ) პუნქტში აღწერილი მეთოდის მეშვეობით ეფექტურობის ტესტირების დროს გამოყენებული პროცენტულობის შეფასება;
- ვ) როდის ახორციელებს საწარმო ეფექტურობის ტესტირებას მგ126(ბ) პუნქტში აღწერილი მეთოდის გამოყენებით: როცა საწარმო ახორციელებს ეფექტურობის ტესტირებას ინდივიდუალურად საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის ყოველი პერიოდისათვის, ყველა გაერთიანებული პერიოდისათვის, თუ ამ ორის გარკვეული კომბინაციის გამოყენებისას.

კლასიფიცირებითა და დოკუმენტაციით განსაზღვრული ჰეჯირების ურთიერთობების პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს რისკის მართვის პროცედურებსა და მიზნებს. ცვლილებები პოლიტიკაში არ შეიძლება შეტანილ იქნეს თვითნებურად, უსაფუძვლოდ. ისინი განხილული უნდა იყოს საბაზრო პირობების ცვლილებებსა და სხვა ფაქტორებთან ერთად და იყოს საწარმოს რისკის მართვის პროცედურებისა და მიზნების შემადგენელი ნაწილი.

მგ120. მგ114(ე) პუნქტში განხილული ჰეჯირების ინსტრუმენტი შეიძლება იყოს ცალკეული წარმოებული ან წარმოებულთა პორტფელი, რომელიც შეიცავს ჰეჯირებული საპროცენტო განაკვეთის რისკის შესაძლო დანაკარგებს, რაც განხილულია მგ114(დ) პუნქტში (მაგალითად საპროცენტო განაკვეთის სვოპების პორტფელი, რომლებიც შეიცავს LIBOR-ის ცვლილებით

4. $30 \text{ ფე} \div (100 \text{ ფე} - 40 \text{ ფე}) = 50 \%$.

გამოწვეულ შესაძლო ზარალს). წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ამგვარი პორტფელი შეიძლება შეიცავდეს გადამფარავი რისკის პოზიციებს. თუმცა, მასში შეიძლება არ შედიოდეს გაყიდული ოფციონები ან ნეტო გაყიდული ოფციონები იმ მიზეზის გამო, რომ სტანდარტი⁵ კრძალავს ამგვარი ოფციონების კლასიფიცირებას ჰეჯირების ინსტრუმენტად (გამონაკლისს წარმოადგენს გაყიდვის ოფციონი, რომელიც კლასიფიცირდება შესყიდული ოფციონის გადამფარავ ოფციონად). თუ ჰეჯირების ინსტრუმენტი ახდენს მგ114(გ) პუნქტში მოცემული თანხის ჰეჯირებას საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის ერთზე მეტ პერიოდში, იგი გადანაწილდება ჰეჯირების მთლიან პერიოდზე. თუმცა, ჰეჯირების მთლიანი ინსტრუმენტი გადანაწილებული უნდა იყოს საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის ყველა პერიოდზე, რადგანაც სტანდარტი⁶ კრძალავს ჰეჯირების ურთიერთობის განხილვას მხოლოდ დროის პერიოდის ერთი ნაწილისთვის, რომლის განმავლობაშიც ჰეჯირების ინსტრუმენტი მიმოქცევაში რჩება.

მგ121. როდესაც საწარმო აფასებს ისეთი მუხლის სამართლიანი ღირებულების ცვლილებას მგ114(ზ) პუნქტის შესაბამისად, რომლის ვადაზე ადრე დაფარვა შესაძლებელია, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება ორი სახით იქონიებს გავლენას იმ მუხლის სამართლიან ღირებულებაზე, რომლის ვადაზე ადრე დაფარვა შესაძლებელია. კერძოდ, იგი გავლენას ახდენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების სამართლიან ღირებულებაზე და წინასწარი გადახდის ოფციონის სამართლიან ღირებულებაზე, რომელიც გაითვალისწინება წინასწარ გადახდის ხელშეკრულებაში. სტანდარტის 81-ე პუნქტი საწარმოს უფლებას აძლევს, ჰეჯირებული მუხლის კლასიფიკაცია მიანიჭოს ისეთი ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების ნაწილს, რომლებიც ექვემდებარება საერთო რისკს, იმ პირობით, თუ ეფექტურობის შეფასება შესაძლებელია. იმ მუხლებისთვის, რომელთა ვადაზე ადრე დაფარვა შესაძლებელია, 81ა პუნქტი საწარმოს ამის გაკეთების უფლებას აძლევს შემდეგნაირად: ჰეჯირებული მუხლი განსაზღვროს სამართლიანი ღირებულების ისეთი ცვლილებების საფუძველზე, რომელიც დაკავშირებულია ჰეჯირებისთვის განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებთან, საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის მოსალოდნელი თარიღებიდან გამომდინარე და არა სახელშეკრულებო თარიღებზე დაყრდნობით. თუმცა ჰეჯირებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გავლენა ზემოაღნიშნულ, საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის მოსალოდნელ თარიღებზე, გათვალისწინებული უნდა იყოს ჰეჯირებული მუხლის სამართლიანი ღირებულების ცვლილების განსაზღვრისას. შესაბამისად, თუ საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის მოსალოდნელი თარიღები იცვლება (მაგალითად, იმისათვის, რომ აისახოს წინასწარ გადასახდელი თანხების მოსალოდნელი ცვლილება), ან, თუ საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის ფაქტობრივი თარიღები განსხვავებულია მოსალოდნელისაგან, ეს იწვევს არაეფექტურობას, როგორც ეს აღწერილია მგ126 პუნქტში. პირიქით, საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის მოსალოდნელი თარიღების ცვლილებები, რომლებიც (ა) აშკარად გამოწვეულია სხვა ფაქტორებით და არა ჰეჯირებული მუხლის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით; (ბ) დაკავშირებული არ არის ჰეჯირებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებთან და (გ) შესაძლებელია მისი საიმედოდ გამოცალკეება ჰეჯირებულ საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული ცვლილებებიდან (მაგალითად, როდესაც წინასწარ გადასახდელი თანხების დონეების ცვლილებები აშკარად გამოწვეულია დემოგრაფიული ფაქტორების ან საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებით და არა საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად), არ გაითვალისწინება ჰეჯირებული მუხლის სამართლიანი ღირებულების ცვლილების დადგენის დროს, ვინაიდან ეს ცვლილებები არ მიეკუთვნება ჰეჯირებულ რისკს. თუ განუსაზღვრელობა არის დაკავშირებული ისეთ ფაქტორთან, რომელიც იწვევს საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის მოსალოდნელი თარიღების ცვლილებას, ან საწარმოს არა აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ჰეჯირებულ საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული ცვლილებები საიმედოდ გამოცალკევოს სხვა ფაქტორებით გამოწვეული ცვლილებებიდან, მიიჩნევა, რომ ამგვარი ცვლილება განაპირობა ჰეჯირებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებმა.

მგ122. სტანდარტი არ განსაზღვრავს ტექნიკას, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს მგ114(ზ) პუნქტში მოყვანილი ღირებულების დასადგენად, კერძოდ, ჰეჯირებული მუხლის სამართლიანი

5. იხ. პუნქტები 77-ე და მგ94.

6. იხ. 75-ე პუნქტი.

ღირებულების ცვლილება, რაც დაკავშირებულია ჰეჯირებულ რისკთან. თუ სტატისტიკური ან სხვა შეფასების ტექნიკები გამოიყენება ასეთი შეფასებისათვის, ხელმძღვანელობა უნდა მოელოდეს მიახლოებით შედეგს, რომელიც მიღებული იქნება ნებისმიერი ინდივიდუალური აქტივისა და ვალდებულების შეფასებიდან, რაც წარმოადგენს ჰეჯირებული მუხლის შემადგენელ ნაწილს. ეს საკმარისი არ არის იმის დასადგენად, რომ ჰეჯირებული მუხლის სამართლიანი ღირებულების ცვლილებები ჰეჯირების ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცვლილებების ეკვივალენტურია.

მგ123. 89ა პუნქტის მოთხოვნაა, თუ საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის ცალკეულ პერიოდში ჰეჯირებული მუხლი წარმოადგენს აქტივს, მისი სამართლიანი ღირებულების ცვლილება წარმოდგენილია აქტივთა მუხლების ცალკეულ რიგში. მეორე მხრივ, თუ საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის ცალკეულ პერიოდში ჰეჯირებული მუხლი წარმოადგენს ვალდებულებას, მისი სამართლიანი ღირებულების ცვლილება წარმოდგენილია ვალდებულებათა მუხლების ცალკეულ რიგში. ეს არის მუხლების ცალკეული რიგი, რომელიც აღწერილია მგ114(ზ) პუნქტში. ინდივიდუალური აქტივების (ან ვალდებულებების) სპეციფიკური გადანაწილება აუცილებელი არ არის.

მგ124. მგ114(ი) პუნქტი აღნიშნავს, რომ არაეფექტურობა, რომელიც წარმოიშობა ჰეჯირებულ რისკთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლის სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოცულობის შესაბამისად, განსხვავდება ჰეჯირებული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცვლილებისაგან. ასეთი სხვაობა შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის:

- ა) საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის ფაქტობრივი თარიღები განსხვავდება მოსალოდნელისაგან ან საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის მოსალოდნელი თარიღები იცვლება;
- ბ) მუხლები ჰეჯირებულ პორტფელში განიცდის გაუფასურებას ან მოხდა მათი აღიარების შეწყვეტა;
- გ) ჰეჯირების ინსტრუმენტის გადახდის ვადები და ჰეჯირებული მუხლი ერთმანეთისაგან განსხვავდება; და
- დ) სხვა მიზეზები (მაგალითად, როდესაც რამდენიმე ჰეჯირებული მუხლი საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის მატარებელია, რომლისთვისაც ისინი განიხილება ჰეჯირებულად და შედეგად მიღებული არაეფექტურობა არ არის ისევე დიდი, როგორც პორტფელი).

ასეთი არაეფექტურობა⁷ უნდა დადგინდეს და აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

მგ125. ძირითადად, ჰეჯირების ეფექტურობის გაუმჯობესება შესაძლებელია:

- ა) თუ საწარმო ვადაზე ადრე დაფარვის განსხვავებული შესაძლებლობის მქონე მუხლების სიას იმგვარად ადგენს, რომ გაითვალისწინება განსხვავებები წინასწარ გადახდის რეჟიმში;
- ბ) როდესაც მუხლების რაოდენობა პორტფელში დიდია. როცა პორტფელში მხოლოდ რამდენიმე მუხლია შეტანილი, შესაბამისი მაღალი ეფექტურობა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მუხლის გადახდა ხდება მოსალოდნელზე ადრე ან გვიან. მეორე მხრივ, როდესაც პორტფელი შეიცავს ბევრ მუხლს, წინასწარ გადახდის მანერა უფრო ზუსტად განჭვრეტადია;
- გ) როდესაც საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის პერიოდები მოკლეა (ე.ი. 1 თვიდან 3 თვემდე პერიოდი). საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის მოკლე პერიოდები ამცირებს ჰეჯირებული მუხლისა და ჰეჯირების ინსტრუმენტის საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვისა და გადახდის თარიღებს შორის შეუსაბამობას (საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის პერიოდის განმავლობაში);
- დ) ხშირია შემთხვევები, როდესაც ჰეჯირების ინსტრუმენტის ღირებულება კორექტირებულია იმ მიზნით, რომ ასახოს ჰეჯირებული მუხლის ცვლილებები (მაგალითად, მოსალოდნელი წინასწარ გადახდის ცვლილებების გამო).

⁷ ამ კონტექსტში არსებითობა იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც ყველგან ფასს სტანდარტებში.

მგ126. საწარმო ეფექტურობის ტესტირებას პერიოდულად ახორციელებს. თუ საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის შეფასებული თარიღები იცვლება ჰეჯირების ეფექტურობის შეფასების ორ თარიღს შორის პერიოდის განმავლობაში, საწარმომ ეფექტურობის ოდენობა უნდა გამოითვალოს:

- ა) როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცვლილებასა (იხ. პუნქტი მგ114(თ)) და მიმდინარე ჰეჯირებული მუხლის სამართლიანი ღირებულების ცვლილებას შორის სხვაობის მეშვეობით, რომელიც დაკავშირებულია ჰეჯირებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასთან (იმ ეფექტის ჩათვლით, რომელიც გააჩნია ჰეჯირებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას ნებისმიერი ჩართული წინასწარ გადახდის ოფციონის სამართლიან ღირებულებაზე); ან
- ბ) ქვემოთ ჩამოთვლილი მიდგომების გამოყენებით. საწარმო:
 - (i) ანგარიშობს აქტივების (ან ვალდებულებების) პროცენტს, საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის ყოველი ჰეჯირებული პერიოდის განმავლობაში, ეფექტურობის უკანასკნელი ტესტირების დღეს საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის შეფასებული თარიღების საფუძველზე;
 - (ii) იყენებს ზემოაღნიშნულ პროცენტულ სიდიდეს მისი კორექტირებული შეფასებული თანხის მიმართ საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის მოცემულ პერიოდში, რათა გამოთვალოს ჰეჯირებული მუხლის ღირებულება, მისი კორექტირებული შეფასების გათვალისწინებით;
 - (iii) ანგარიშობს ჰეჯირებული მუხლის კორექტირებული შეფასების სამართლიანი ღირებულების ცვლილებას, რაც დაკავშირებულია ჰეჯირებულ რისკთან და მას წარმოადგენს ისე, როგორც აღწერილია მგ114(ზ) პუნქტში;
 - (iv) აღიარებს (iii) ქვეპუნქტში მოცემულ ღირებულებასა და ჰეჯირების ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობის ეკვივალენტურ არაეფექტურობას (იხ. პუნქტი მგ114(თ)).

მგ127. ეფექტურობის შეფასების დროს, საწარმო საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის თარიღების ცვლილებებს შორის განსხვავებას ადგენს არსებული აქტივების (ან ვალდებულებების) და ახლადშექმნილი აქტივების (ან ვალდებულებების) მიხედვით, ამასთან, მხოლოდ პირველი იწვევს არაეფექტურობას. საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის შეფასებული თარიღების ყოველი ცვლილება (კორექტირება) (გარდა ისეთის, რომელიც არ გაითვალისწინება მგ121 პუნქტის შესაბამისად), არსებული მუხლების დროის პერიოდებზე ხელახალი გადანაწილების ჩათვლით, ჩართულია დროის პერიოდებში სავარაუდო ღირებულების კორექტირების პროცესში (პუნქტი მგ126(ბ)(ii)) და გათვალისწინებულია ეფექტურობის შეფასებისას. როდესაც მოხდება არაეფექტურობის აღიარება ზემოხსენებულის შესაბამისად, საწარმო ადგენს შეფასების ახალ წესს მთლიანი აქტივებისათვის (ან ვალდებულებებისათვის) საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის ყოველ პერიოდში ახალი აქტივების (ან ვალდებულებების) ჩათვლით, რომლებიც მიღებულია იმ პერიოდის შემდეგ, როცა მოხდა ეფექტურობის უკანასკნელად შეფასება, და განიხილავს აქტივების ახალ რაოდენობას ჰეჯირებულ მუხლად, ხოლო ახალ პროცენტულობას ჰეჯირებულ პროცენტულობად. მგ126(ბ) პუნქტში მოყვანილი პროცედურები მეორდება ეფექტურობის შეფასების შემდგომი თარიღისთვისაც.

მგ128. მუხლები, რომლებიც დალაგებულია საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის პერიოდების მიხედვით, შეიძლება აღიარება შეწყვეტილი იყოს იმის გამო, რომ მოსალოდნელზე ადრეული წინასწარ გადახდა ან ჩამოწერა გამოწვეულია გაუფასურებით ან გაყიდვით. როდესაც აღნიშნული ეხება მგ114(ზ) - პუნქტში განხილული მუხლების ცალკეულ რიგში ჩართული სამართლიანი ღირებულების ცვლილებების თანხას, რომელიც უკავშირდება აღიარებაშეწყვეტილ მუხლს, ამოღებული უნდა იყოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან და ჩართული მუხლის აღიარების შეწყვეტით გამოწვეულ შემოსულობაში ან ზარალში. ამ მიზნით, აუცილებელია ვიცოდეთ ფასების დადგენის დროითი პერიოდები, რომლებშიც აღიარებაშეწყვეტილი მუხლი შეტანილი იყო, რადგან იგი განსაზღვრავს საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის დროით პერიოდებს, რომელთაგანაც მისი ამოღება და შემდგომში მუხლების ცალკეული რიგიდან ამოსაღები რაოდენობა განიხილება მგ114(ზ) პუნქტში. როდესაც მუხლის აღიარება წყდება, თუ შესაძლებელია იმ პერიოდის განსაზღვრა, რომელშიც იგი იყო ჩართული, ამოღებული უნდა იყოს აღნიშნული დროითი პერიოდიდან. თუ ზემო-

ხსენებულის განსაზღვრა შეუძლებელია, იგი ამოღებული იქნება დროის ადრინდელი პერიოდთან, თუ აღიარების შეწყვეტა გამოწვეულია უფრო მაღალი წინასწარ გადახდებით, ვიდრე მოსალოდნელი იყო, ან/და გადანაწილებულია დროის ყველა პერიოდზე, რომელსაც მოიცავს აღიარებაშეწყვეტილი მუხლი სისტემატურ თუ რაციონალურ საფუძვლებზე, იმ შემთხვევაში, თუ მუხლი გაიყიდა ან მოხდა მისი გაუფასურება.

- მგ129. ამას გარდა, დროის ცალკეულ პერიოდთან დაკავშირებული ნებისმიერი ღირებულება, რომლის აღიარებაც შეწყვეტილი არ იყო დროითი პერიოდის დამთავრების შემდეგ, აღიარებული უნდა იყოს იმავე პერიოდის მოგებაში ან ზარალში (იხ. 89ა პუნქტი). მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ საწარმო მუხლებს ალაგებს საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის სამი პერიოდის მიხედვით. წინასწარი რეკლასიფიკაციის დროს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეტანილი მუხლების ცალკეული რიგის სამართლიანი ღირებულების ცვლილება არის 25 ფე. აღნიშნული ღირებულება შესაბამისად წარმოადგენს 1-ელ, მე-2 და მე-3 პერიოდთან დაკავშირებულ 7 ფე, 8 ფე და 10 ფე ღირებულებებს. შემდეგი რეკლასიფიკაციის დროს 1-ელ პერიოდთან დაკავშირებული აქტივები რეალიზებული ან ხელახლა შეტანილია სხვა პერიოდებში. ამგვარად, 7 ფე-ს აღიარება შეწყვეტილია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. ხოლო 8 ფე და 10 ფე შესაბამისად უკავშირდება 1-ელ და მე-2 პერიოდებს. დარჩენილი პერიოდები, აუცილებლად, კორექტირდება სამართლიანი ღირებულების ცვლილების მიმართ, რაც აღწერილია მგ114(ზ) პუნქტში.
- მგ130. წინა ორი პუნქტის მოთხოვნების საილუსტრაციოდ წარმოვიდგინოთ, რომ საწარმო აქტივებს ალაგებს პორტფელის პროცენტულობის განაწილებით თითოეულ დროით პერიოდზე. წარმოვიდგინოთ აგრეთვე, რომ მან გაანაწილა 100 ფე ყოველ ორ პირველ დროით პერიოდზე. როდესაც საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის პირველი პერიოდი მთავრდება, 110 ფე ღირებულების აქტივების აღიარება წყდება მოსალოდნელი და მოულოდნელი წინასწარ გადახდების გამო. ამ შემთხვევაში, მგ114(ზ) პუნქტში განხილული ცალკეული მუხლის რიგში შემავალი ერთიანი ღირებულება, რომელიც დაკავშირებულია დროის პირველ პერიოდთან, ამოღებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან და აგრეთვე ამოღებულია დროის მეორე პერიოდთან დაკავშირებული ღირებულების 10 პროცენტი.
- მგ131. თუ საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვის პერიოდში ჰეჯირებული ღირებულება შემცირებულია დაკავშირებული აქტივების (ან ვალდებულებების) აღიარების შეწყვეტის გათვალისწინების გარეშე, მგ114(ზ) პუნქტში განხილული ცალკეული რიგის მუხლის ღირებულება, რომელიც შემცირებასთანაა დაკავშირებული, ამორტიზებული უნდა იყოს 92-ე პუნქტის შესაბამისად.
- მგ132. საწარმოს შეიძლება გააჩნდეს მგ114-მგ131 პუნქტებში განხილული მიდგომის გამოყენების სურვილი პორტფელის ჰეჯირებისთვის, რომელიც ადრე აღირიცხებოდა ფულადი ნაკადების ჰეჯირებად, ბასს 39-ის შესაბამისად. ასეთი საწარმო აუქმებს ფულადი ნაკადების ჰეჯირების წინანდელ კლასიფიკაციას 101(დ) პუნქტის შესაბამისად და მიმართავს ამ პუნქტში განხილულ მოთხოვნებს. იგი აგრეთვე ხელახლა ახდენს ჰეჯირების რეკლასიფიკირებას სამართლიანი ღირებულების ჰეჯირებად და მიმართავს მგ114-მგ131 პუნქტებში განხილულ მიდგომას, შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში.

გარდამავალი დებულებები (პუნქტები 103-108გ)

- მგ133. საწარმოს უფლება აქვს ჰეჯირებული მუხლის კლასიფიკაცია მიანიჭოს 2005 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდების დასაწყისში (ან, შესაძარისი ინფორმაციის გადაანგარიშების მიზნით, ყველზე ადრეული შესაძარისი პერიოდისათვის) პროგნოზირებულ შიდაგულფურ გარიგებას, რომელიც აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად (მე-80 პუნქტის ბოლო შეცვლილი წინადადების თანახმად). ამ საწარმოს ამგვარი კლასიფიკაციის გამოყენება ჰეჯირების აღრიცხვისათვის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეუძლია 2005 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებიდან (ან ყველაზე ადრეული შესაძარისი პერიოდის დასაწყისში). ამგვარმა საწარმომ მგ99ა და მგ99ბ პუნქტებიც ასევე უნდა გამოიყენოს 2005 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდების დასაწყისიდან. ამასთან, 108ბ პუნქტის თანახმად, მას არ დასჭირდება მგ99ბ პუნქტის გამოყენება წინა პერიოდების შესაძარისი ინფორმაციისთვის.